საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 56 (76) | პარასკევი, 22 მარტი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საოლქო კომისიების სახსრების განაწილებისა და გამოყენების შესახებ

1. **ნებადართულია** საჭიროების შემთხვევაში გამოყოფილი სახსრების მუხლიდან მუხლში გადატანა ხელფასის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი სახსრების გარდა.

2. საოლქო სარეფერენდუმო კომისია არის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისაგან მისთვის გამოყოფილი სახსრების განმგებელი და, როგორც წესი, აწარმოებს საუბნო სარეფერენდუმო კომისიების ყველა საფინანსო ოპერაციებს.

საოლქო სარეფერენდუმო კომისია არსებული წესის მიხედვით ხსნის ანგარიშს სახელმწიფო ბანკის ფილიალში, რომელიც აწარმოებს საბიუჯეტო ოპერაციებს იმ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სადაც იმყოფება სარეფერენდუმო კომისია.

საოლქო სარეფერენდუმო კომისია ნიშნავს კომისიის ხაზინადარს, რომელიც აწარმოებს კომისიის ყველა საბუღალტრო ოპერაციას. ხაზინადარი ასრულებს აგრეთვე მოლარის ფუნქციებს.

გამონაკლის შემთხვევაში ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიასთან შეთანხმებით, საოლქო სარეფერენდუმო კომისიას შეუძლია გადასცეს ქვემდგომ სარეფერენდუმო კომისიას მისთვის ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სახსრების ნაწილი.

საუბნო კომისიათა ის ხარჯები, რომელთა დაფარვა არ ხერხდება ცენტრალიზებულად გარდა საფინანსო დოკუმენტისა, დადასტურებული უნდა იქნას კომისიის წევრთა ნახევარზე მეტის ხელმოწერილი აქტით.

3. ყველა სახის ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაცია ხორციელდება შესაბამისი დადგენილი დოკუმენტების საშუალებით, რომლებიც დამოწმებულია ტერიტორიული სარეფერენდუმო კომისიის თავმჯდომარისა და ხაზინადარის ხელმოწერებით და რომელთა ფაქსიმილიები ინახება შესაბამის ბანკში.

ნაღდი ანგარიშსწორება ხდება დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც ადგენს მომსახურების გამწევი ან პროდუქციის მომწოდებელი. დოკუმენტი მტკიცდება ხელმოწერით და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში).

საფინანსო დოკუმენტის არ არსებობის შემთხვევაში ხარჯები უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი კომისიის აქტით, წევრთა ორი მესამედის ხელმოწერებით.

საოლქო სარეფერენდუმო კომისია ვალდებულია მოახდინოს უნაღდო ანგარიშსწორება ყველა იმ ორგანიზაცია-დაწესებულებასთან, რომელთა მიერ შესრულებული საქმიანობის ანაზღაურება მოსახერხებელია ამ გზით, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე.

საუბნო კომისიების განთავისუფლებული წევრების ხელფასს თითოეული კომისიისათვის გასცემს საოლქო სარეფერენდუმო კომისია, რისთვისაც მას წარედგინება შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის და ერთი წევრის მიერ ხელმოწერილი უწყისის ერთი პირი. უწყისის მეორე პირი, ხელფასის გაცემის შემდეგ, სათანადოდ გაფორმებული და დამოწმებული ხელმოწერებით, აგრეთვე ბარდება საოლქო სარეფერენდუმო კომისიას.

ყველა სახის ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება ხაზინადართან.

ნაღდი ფულით ანგარიშსწორება საოლქო სარეფერენდუმო კომისიამ შეიძლება მოახდინოს:

ა) ხარჯთაღრიცხვით და ამ დადგენილებით გათვალისწინებული ხელფასებისა და მივლინებების ასანაზღაურებლად;

ბ) სხვადასხვა სახის სამეურნეო ხარჯებისათვის;

გ) გაუთვალისწინებელი მცირე ხარჯებისათვის;

4. სარეფერენდუმო კომისიების განთავისუფლებულ წევრებს ხელფასისა და მივლინებებისათვის გამოყოფილი თანხები აუნაზღაურდებათ შემდეგი წესით:

ა) ამ კატეგორიის პირებს ხელფასი უნარჩუნდებათ თავიანთ სამსახურში სარეფერენდუმო კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) სტუდენტებს, პენსიონერებს, უმუშევრებს და დაბალი შემოსავლის მქონე პირებს ხელფასი შესაბამისად მიეცემათ განთავისუფლებული წევრისთვის ამ დადგენილებით განსაზღვრული ოდენობით, ან მიეცემათ სხვაობა;

გ) პირები, რომლებიც თავისუფლდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ხელფასის შეუნარჩუნებლად, ხელფასს მიიღებენ სარეფერენდუმო კომისიაში;

დ) ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს სათანადო ცნობების (დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ);

ე) მივლინების ანაზღაურება ხდება ასევე სათანადო დოკუმენტების საფუძველზე, მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით.

5. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ბანკები, მათი საოპერაციო სამმართველოები და ფილიალები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ კამპანიის ჩატარებას.

6. საოლქო სარეფერენდუმო კომისიები არჩევნების დამთავრებიდან არა უგვიანეს სამი კვირისა წყვეტენ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და ერთი კვირის ვადაში ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიას წარუდგენენ ანგარიშს მის მიერ დადგენილი ფორმითა და სათანადო დოკუმენტაციით.

არჩევნების დამთავრებიდან ხუთი კვირის ვადაში საოლქო სარეფერენდუმო კომისიები ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის ანგარიშზე ჩარიცხავენ არსებულ ნაშთს.

7. ამ დადგენილებით გაუთვალისწინებელი საფინანსო საკითხების გარკვევა უნდა მოხდეს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის საფინანსო ჯგუფში, ტელეფონი: 98-70-03, 98-70-04.

შენიშვნა: ტერიტორიული სარეფერენდუმო კომისიებისათვის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისაგან გადარიცხული სახსრები გაანგარიშებულია საუბნო კომისიათა სავარაუდო მაქსიმალური რაოდენობის მიხედვით. სახსრების ნამეტი, რომელიც წარმოიშვება საუბნო კომისიათა სავარაუდო და რეალურ რაოდენობათა განსხვავების გამო, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის ნებართვით.

ა. ჟირაქაძე,
ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის თავმჯდომარე;
ბ. ჯანდიერი,
საფინანსო ჯგუფის ხელმძღვანელი.

სარეფერენდუმო (საარჩევნო) კომისიათა ხარჯთაღრიცხვა აფხაზეთის ასსრ რაიონებისათვის

1. **საოლქო** სარეფერენდუმო კომისიის ხარჯები:

ა. 2 განთავისუფლებული წევრის ერთი თვის ხელფასი 2X400=800 მან.

ბ. ხაზინადარის 1 თვის ხელფასი — 300 მან.

გ. ტექნიკური მუშაკის ხელფასი — 200 მან.

დ. საკანცელარიო, საფოსტო-სატელეგრაფო-სატელეფონო ხარჯები — 100 მან.

ე. სამივლინებო ხარჯები — 80 მან.

ვ. შენობის მოწყობა-შენახვა-გაფორმება — 100 მან.

ზ. სატრანსპორტო ხარჯები — 300 მან.

თ. რეზერვი — 200 მან.

სულ: 2080 მან.

2. საუბნო სარეფერენდუმო კომისიათა ხარჯები:

ა. 2 განთავისუფლებული წევრის 1 თვის ხელფასი — 2X300=600 მან.

ბ. 10 განთავისუფლებული წევრის 10 დღის ხელფასი 10X100=1000 მან.

გ. შენობის მოწყობა, შენახვა, გაფორმება — 50 მან.

დ. ამომრჩეველთა სიების დაბეჭდვის ხარჯები — 100 მან.

ე. სატრანსპორტო ხარჯები — 50 მან.

ვ. საკანცელარიო ხარჯები — 50 მან.

ზ. ხმის მიცემის კაბინები, ყუთები — 200 მან.

სულ: 2050 მან.

სტატისტიკური მონაცემები

ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" მიერ ქ. თბილისის საკრებულოებში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ

პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" ქ. თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად წარადგინა 400 დეპუტატობის კანდიდატი.

გთავაზობთ ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემს აღნიშნული ბლოკის მიერ ქ. თბილისის საკრებულოებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ.

სტატისტიკური მონაცემები პროფესიების მიხედვით

პროფესია	რაოდენობა	პროცენტული შემადგენლობა
1. ჰუმანიტარული დარგის წარმომად.	55	13,75
2. ეკონომიკური დარგის წარმომად.	29	7,25
3. იურისტები	11	2,75
4. საბუნებისმეტყველო დარგის წარმომად.	48	12,00
5. პედაგოგები	19	4,75
6. ჟურნალისტები	9	2,25
7. ტექნიკური ინტელიგენციის წარმომად.	146	36,50
8. ხელოვნების დარგის წარმომად.	21	5,25
9. სამედიცინო დარგის წარმომად.	20	5,00
10. არქიტექტორები	12	3,00
11. სოფლის მეურნეობის დარგის წარმომად.	7	1,75
12. მუშა-პროფესიის წარმომადგენლები	15	3,75
13. სპორტული მწვრთნელები	3	0,75
14. სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომად.	5	1,25
	400	100,00

სტატისტიკური მონაცემები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკი	რაოდენობა	პროცენტული შემადგენლობა
21—30	71	17,75
31—40	185	46,25
41—50	104	26,00
51—60	37	9,25
61—70	3	0,75
	400	100,00

სტატისტიკური მონაცემები სქესობრივი ჯგუფების მიხედვით

სქესი	რაოდენობა	პროცენტული შემადგენლობა
მამაკაცი	311	77,75
ქალი	89	22,25
	400	100,00

გარდა ამისა ქ. თბილისის საკრებულოებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა შორის არის 22 მეცნიერებათა კანდიდატი და 3 მეცნიერებათა დოქტორი — პროფესორი, რაც შეადგენს მთელი რაოდენობის 6,25 პროცენტს, აგრეთვე 2 ასპირანტი.

დეპუტატობის კანდიდატთა შორის ასევეა 2 პენსიონერი და 5 კოოპერატივის წევრი.

როგორც მოცემული სტატისტიკიდან ჩანს, პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" მიერ ქ. თბილისის საკრებულოებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა შორის წარმოდგენილია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე თითქმის ყველა ასაკის, სოციალური ფენისა და პროფესიის წარმომადგენლები.

პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" მაქსიმალურად შეეცადა, რომ დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული ყოფილიყვნენ მაღალი პროფესიონალიზმითა და ჭეშმარიტი კეთილსინდისიერებით დაჯილდოებული, ღირსეული პიროვნებები, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მოცემულ ისტორიულ მონაკვეთში აუცილებელია გარდამავალი პერიოდის წარმატებით დასაგვირგვინებლად.

მოგიწოდებთ, ხმა მისცეთ ღირსეულთა შორის ღირსეულთ, რადგან არჩეულ დეპუტატთა პიროვნულ, ზნეობრივ პრინციპებზე, პროფესიონალიზმსა და პოლიტიკურ სიმწიფეზე ბევრად იქნება დამოკიდებული უზენაესი საბჭოსა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შეთანხმებული, კოორდინირებული მუშაობა, რათა მივაღწიოთ საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის აღდგენას, მისი ეკონომიკური განვითარების სრულყოფას, დავითისა და თამარის დროინდელი მაღალი ზნეობისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას საქართველოში.

თუ თქვენ გსურთ მხარი დაუჭიროთ ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს", გთხოვთ ჩვენს კანდიდატებს საარჩევნო ბიულეტენში გვარის წინ მდებარე კვადრატში, საარჩევნო კანონის შესაბამისად ჩაუწეროთ ციფრები 1, 2, 3, 4, 5 იმის მიხედვით, თუ რომელ დეპუტატობის კანდიდატს ანიჭებთ უპირატესობას.

თუ თქვენი ხუთივე არჩევანი შეჩერდება ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს" დეპუტატობის კანდიდატებზე, ჩვენი გამარჯვება თქვენი გამარჯვების საწინდარია.

ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" საარჩევნო კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებამდე საქართველო საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ფიგურირებდა. ის იყო ფუნქციაგამოცლილი რესპუბლიკა, რომლის სასიცოცხლო ინტერესები მხოლოდ საბჭოთა კავშირის ინტერესებით შემოიფარგლებოდა.

უზენაესი საბჭოს არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვებამ ცენტრი შეეცადა პოლიტიკური კოზირები ხელიდან გამოაცალა, რასაც, ცხადია, უნდა მოჰყოლოდა რეაქცია, რომელიც ჩანასახშივე გაუწევდა დისკრედიტაციას ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს. ცენტრი შეეცადა პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც სსრკ-ს მმართველობასა და რესპუბლიკის მიერ არჩეულ გზას შორის არსებობს, საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით გადაზარდოს ოს და ქართველ ხალხს შორის ეთნოკონფლიქტში და ქართველი ერი მჩაგვრელის როლში წარმოადგინოს. ამას ნაწილობრივ აღწევს კიდეც, რადგან საერთაშორისო პოლიტიკური წრეები ზედმეტ სიფრთხილეს იჩენენ სსრკ-ში რესპუბლიკების სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხის მიმართ. ამას ემატება საზოგადოების დეზინფორმაცია, რომელსაც გარკვეულწილად იწვევს რესპოდენტების არაკომპეტენტურობა, უპასუხისმგებლობა და პოლიტიკური ვითარების გაუთვალისწინებლობა. კერძოდ, ბატონმა ნ. ნათაძემ სესიის სხდომებზე რამდენჯერმე მოითხოვა სამაჩაბლოს ქართველებისათვის, რომლებიც საკუთარ ოჯახს თუ სოფლებს იცავენ, განსაკუთრებული სტატუსის (სახალხო ლაშქარი) მინიჭება; გარდა იმისა, რომ ასეთი სტატუსი ვერავითარ იურიდიულ ნორმებს ვერ ესადაგება, ის ქმნის საკავშირო და უცხოელი ჟურნალისტების ყალბ წარმოდგენას სამაჩაბლოში არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებების არსებობის შესახებ. გარდა ამისა, ჩვენ ვთხოვდით სხვა დეპუტატებს თავიანთი დამოკიდებულება დემოკრატიის, არაქართველი მოსახლეობის თუ ოპოზიციის მიმართ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით გამოხატონ, რამეთუ გაუფრთხილებლობით წარმოთქმული ყოველი სიტყვა საერთაშორისო პრესაში ცალკე სტატიის თუ მსჯელობის საგანი ხდება.

ამიტომ ცხადი ხდება, თუ რა დიდი სამუშაოს ჩატარებაა საჭირო საზოგადოების ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ასახვისათვის. ამ სამუშაოს შესრულება ნაწილობრივ იტვირთა უზენაესი საბჭოს პრესცენტრმა, რომელსაც 1990 წლის 14 ნოემბრამდე უზენაესი საბჭოს სხვა სტრუქტურებისაგან განსხვავებით ანალოგი არ გააჩნდა და ამიტომ მის ფორმირებას დროის გარკვეული შუალედი დასჭირდა. პრესცენტრმა თავისი არსებობის მოკლე დროში, ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობის მიუხედავად, შეძლო კონტაქტები დაემყარებინა მსოფლიოს თითქმის ყველა გავლენიან სააგენტოსთან. იგი თვალყურს ადევნებს მიმდინარე პრესას და ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტზე შესაბამისად რეაგირებს. პრესცენტრის სახელით ქვეყნდება საპარლამენტო მიმართვები და განცხადებები საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი. რეგულარულად უწყობს პრესკონფერენციებს უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებს ადგილობრივ და უცხოელ ჟურნალისტებთან. უშუალოდ პრესცენტრის ინიციატივით, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის რამოდენიმე პრესკონფერენცია გაიმართა მოსკოვში და ლენინგრადში, რომლებიც საგანგებოდ სამაჩაბლოს საკითხისადმი იყო მიძღვნილი და რომლებიც ობიექტურად აისახა თვით ყველაზე რეაქციულ პროგრამა „ვრემიაში" და სხვა საკავშირო მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში. ყოველდღიურად პრესცენტრში ინფორმაციას ღებულობს უცხოელ თუ საკავშირო ჟურნალისტთა რამოდენიმე ჯგუფი. სწორედ ასეთი ყოველდღიური მუშაობის შედეგია, რომ მიუხედავად საერთო არაკეთილგანწყობისა, საერთაშორისო თუ საკავშირო დამოუკიდებელ პრესაში გამოჩნდა მასალები, რომლებიც ობიექტურად ასახავს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. რადიოსადგურები „თავისუფლება", „ამერიკის ხმა" და „ბი-ბი-სი" პერიოდულად გადასცემდნენ შეუმოწმებელ თუ აშკარად ცილისმწამებლურ ინფორმაციას საქართველოს შესახებ. მხოლოდ ბატონ ზვიად გამსახურდიას და პრესცენტრის უშუალო ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი ზემო აღნიშნული რადიოსადგურების გადაცემათა აქცენტების შეცვლა, საქართველოს შესახებ შედარებით ობიექტური ინფორმაციის გავრცელება. პრესცენტრმა უზრუნველყო სსრკ-ს სხვადასხვა ქალაქებში არსებული ქართული სათვისტომოების შეხვედრის ორგანიზება თბილისში, რომელთა ბაზაზეც იქმნება საინფორმაციო ბიუროს სამსახურები. მიმდინარეობს მუშაობა კულტურული საინფორმაციო ცენტრების გასახსნელად ზაარ-ბრიუკენში, ლონდონში, ვაშინგტონში. მიმდინარეობს ტექნიკური აღჭურვილობის დამონტაჟება, რომელიც პრესცენტრს დააკავშირებს MSI-ს საინფორმაციო ბანკთან. დამუშავების პროცესშია დადგენილების პროექტი, რომელიც იქნება საფუძველი, რომ საერთაშორისო ინსტანციებმა გამოყონ სპეციალური სიხშირეები საპარლამენტო რადიოსადგურის შესაქმნელად.

პრესცენტრის ინიციატივით მოეწყო უცხოელი ჟურნალისტების ორგანიზებული დასწრება აფხაზეთში 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმზე, რისი აუცილებლობაც თვალნათლივ დავინახეთ რეფერენდუმის შედეგების ფალსიფიცირების გამო.

ყოველივე ზემოთქმულის გაუთვალისწინებლად, ყველასათვის პატივსაცემ პიროვნებას, როგორიც ბ-ნი ნ. ნათაძეა, რომელსაც **არავითარი** ურთიერთობა არ ჰქონია პრესცენტრის საქმიანობასთან, მორალური უფლება არ ჰქონდა გაეკეთებინა განცხადება პრესცენტრის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ. პრესცენტრს მიზანშეუწონლად მიაჩნდა საკუთარი საქმიანობის ფართო აფიშირება და ანგარიშის ჩაბარება ცალკეული პიროვნებებისათვის, რამეთუ მისი კრედოა „საქმემან შენმან წარმოგაჩინოს შენ".

მიუხედავად იმისა, რომ პრესცენტრმა ჯერ კიდევ ორი თვის წინ წარუდგინა თავისი სამუშაო პროგრამა და მუშაობის შედეგები უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, მიგვაჩნია, რომ ჩვენი განცხადება ერთგვარი საანგარიშო მოხსენება იქნება უზენაესი საბჭოს და საზოგადოებრიობის წინაშე. ეს არის იმ სამუშაოების მცირე ნაწილი, რომლის განხორციელებასაც აპირებს პრესცენტრი.

მამულიშვილები

მემედ აბაშიძე და აჭარა

ქართველი ერი განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებს ყველა იმ მამულიშვილს, ვინც თავდადებით იღვწოდა საქართველოს მთლიანობისათვის. მემედ აბაშიძე, მათ შორის, ერთ-ერთი უპირველესი იყო...

მემედ აბაშიძე დაიბადა 1873 წელს, ბათუმში. მამამისი იბრაჰიმი იყო ბათუმის სანჯაყის ბეგის, იუსუფის შვილი, რომელიც ბათუმის სადროშოს მმართველად ითვლებოდა. ის იყო განათლებული კაცი, შესწავლილი ჰქონდა მათემატიკა, ისტორია, არაბული, სპარსული და თურქული ენები. კარგად იცოდა, რომ სარწმუნოება და ეროვნება სხვადასხვა ცნებაა, მტკიცედ იცავდა საქართველოს ინტერესებს, აჭარის განთავისუფლებას და მის დაბრუნებას დედასამშობლოსთან დიდი სიხარულით შეხვდა და ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა შორის ძმობა გამთელებულიყო.

მშობლები მემედს პატარაობიდანვე უნერგავდნენ ეროვნულ, პატრიოტულ გრძნობებს, უხსნიდნენ, რომ ისინი ქართველები არიან. ოჯახში ესაუბრებოდნენ საქართველოს წარსულზე და მშობლიურ კულტურას ბავშვობიდანვე აყვარებდნენ.

1881 წელს მემედი შეიყვანეს ბათუმის პირველ ქართულ სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. დიდი სურვილის მიუხედავად, სწავლა ვერ გააგრძელა, თვითგანათლებას დაეწაფა და თავისი დროის ერთ-ერთ განათლებულ ადამიანად იქცა. მემედმა მამის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ შეისწავლა არაბული, თურქული, სპარსული, სომხური და რუსული ენები. ყოველივე ამან საშუალება მისცა ცნობილი მწერალი-პუბლიცისტი და ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწე გამხდარიყო.

მემედ აბაშიძემ თურქული, სპარსული, აზერბაიჯანული ლიტერატურიდან ქართულ ენაზე თარგმნა რამდენიმე ნაწარმოები. თურქულ ენაზე შეუდგა „ვეფხისტყაოსნის" თარგმნას, რაც აღარ დააცადეს, რადგანაც ის 1937 წელს დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს.

მემედი გულმოდგინედ სწავლობდა საქართველოს ისტორიას და ძველ ქართულ ლიტერატურას, გატაცებით კითხულობდა პოლიტიკურ და მეცნიერულ ლიტერატურას, კარგად ერკვეოდა პოლიტიკაში. არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც არ ეთქვას თავისი სიტყვა და არ დაეჩინოს თავისი კეთილი კვალი. ამის გაკეთება რთულ პირობებში უხდებოდა, ამიტომ ხშირად განიცდიდა რეპრესიებს.

თურქეთისა და მეფის რუსეთის მთავრობების განკარგულებით მემედ აბაშიძე მრავალჯერ იყო დაპატიმრებული და გასახლებული სამშობლოდან, მაგრამ განთავისუფლებისთანავე ის გაორმაგებული ენერგიით ებმებოდა ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში — ფუფუნებაში ცხოვრება უკუაგდო და სამშობლოს ბედნიერებისათვის სავალი რთული გზა აირჩია.

მემედ აბაშიძეს ახლო მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესთან, დავით კლდიაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, შალვა დადიანთან, გრიგოლ ვოლსკისთან, ვალერიან გუნიასთან, მიხეილ ჯავახიშვილთან, დავით კასრაძესთან და სხვებთან. იგი აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. მისი პუბლიცისტური ნიჭი განსაკუთრებით გამომჟღავნდა მის მიერ დაარსებული გაზეთის „სამუსლიმანო საქართველოს" რედაქტორობის პერიოდში, გაზეთი განუხრელად იბრძოდა ქართველი ხალხის, საქართველოს ერთობისათვის.

მას შემდეგ, რაც აჭარა 1878 წელს განთავისუფლდა თურქთა სამასწლიანი ბატონობისაგან, ბევრი იყო დამოკიდებული, თუ რა გზას დაადგებოდნენ თვით აჭარლები, თავის ენისა და კულტურის დაცვას აირჩევდნენ თუ თურქეთის აგიტაციის ანკესზე წამოეგებოდნენ და გაეთიშებოდნენ საქართველოს. პირველი გზის ცხოვრებაში გატარებისათვის, საჭირო იყო პროგრესულ ძალთა გაერთიანება, რაც სწორად წარმართავდა აჭარის ბედს, და მართლაც, ასეთი ძალები აღმოჩნდა. ხელმძღვანელობა მემედ აბაშიძეს დაეკისრა, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ეს ისტორიული მისია.

არ შეიძლება იმის დავიწყება, როცა მან ქართველთა და აზერბაიჯანელთა კრებაზე 1905 წელს, აღნიშნა, რომ „ბათუმშიც სცადეს ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ქრისტიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ, ჩვენ თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდუღს და მიტომ ჩვენში ვერასდროს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება, ჩვენს ძმებს ქრისტიან ქართველებს გადაგვკიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა გააჩაღოს" და მართლაც, ძალა და ღონე მხოლოდ ერთობაშია, ერთმანეთის გაგებასა და სოლიდარობაში, ასეთი თანხმობა მიგვაღწევინებს ჩვენს საბოლოო მიზანს.

მემედ აბაშიძე ფრთხილად ეპყრობოდა რელიგიის საკითხებს, ხშირად ამბობდა: რელიგია სინდისის საქმეა, ეროვნება კი შეგნებისა და ეს ორი საკითხი ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. ასეთი შეხედულება იმ პერიოდში გამართლებული იყო. დაუკვირვებლად გადადგმული ნაბიჯი „ჩატეხილი ხიდის" აღდგენას ხელს შეუშლიდა...

მემედ აბაშიძემ 1916 წლის 23 ივნისს გაზეთ „სახალხო ფურცელში" გამოაქვეყნა სტატია — „მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების სულიერი ერთობა", სადაც წერს: „შეუგნებლობის მძლავრი კედელი, რომელიც ჩვენ შორის იყო აგებული, ეროვნული შემეცნების დიდი ისრით იქნა გახვრეტილი. ჩვენც, ამ დაცხრილული კედლიდან ერთიმეორის მშობლიური სახის ჭვრეტა დავიწყეთ. ეროვნული შემეცნების ანდამატმა მიგვიზიდა და ერთმანეთს ვიყვარებთ და დროთა განმავლობაში გამეფებული უკუღმართობის ნიადაგი ესპობა".

1917 წლის თებერვალში მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით ჰ. აბაშიძემ, ს. ღიასამიძემ, ზექერია და ყადირ შერვაშიძეებმა, ჯ. ქიქავამ და სხვებმა დააარსეს „ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი", რომელმაც ფართო მუშაობა გააჩაღა მოსახლეობაში საქართველოს ერთიანობის იდეის დასაცავად. მისივე ინიციატივითვე დაარსდა „ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება", რომელმაც დიდი მატერიალური დახმარება გაუწია ომით დაზარალებულ მოსახლეობას და ბევრი მუშაობა გასწია ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის.

1918 წლის გაზაფხულზე, თურქეთის ჯარის მიერ აჭარის ოკუპაციის პერიოდში, ბათუმში ჩამოვიდა თურქეთის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა, რომელსაც მემედ აბაშიძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა: „აჭარა საქართველოა, ბათუმი როგორც აჭარის ნაწილი, საქართველოში შედის, თქვენ აქ სტუმრები ხართ, ჩვენ კი მასპინძლები, ამიტომ მოგესალმებით, როგორც სტუმრებს და იმედი გვაქვს მოკლე დროში ბათუმსა და მის ოლქს დატოვებთ". ეს იყო დიპლომატიური ტაქტით შესრულებული საჯარო დემონსტრაცია, რომელიც მოსახლეობის ნება-სურვილსაც გამოხატავდა. ასეთი მიმართვისათვის მემედ აბაშიძე, მის თანამებრძოლებთან ერთად, თურქეთში გადაასახლეს, მას სასტიკი სასჯელი ელოდა, მაგრამ ლაზებისა და იქ მცხოვრები ქართველების დახმარებით მან სამშობლოში გამოქცევა მოახერხა და სათავეში ჩაუდგა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს". კომიტეტი, ენერგიულად უძღვებოდა მასზედ დაკისრებულ მოვალეობას აჭარის დამპყრობელთა კლანჭებიდან განთავისუფლების საქმეში.

1918 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებიდან, თურქები ინგლისელმა ოკუპანტებმა შეცვალეს. შემდეგ დენიკინის ბანდა შეეცადა დაპატრონებოდა აჭარას. ოლქის სამხედრო გუბერნატორად დანიშნული ინგლისელი გენერალის კუკ-კოლისის დახმარებით, ბათუმის ოლქში თეთრგვარდიელებმა მოიკიდეს ფეხი. მათ წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ეწეოდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი" მ. აბაშიძის ხელმძღვანელობით და არაერთი მწარე დამარცხება აგემა დამპყრობლებს.

1919 წლის 31 აგვისტოს, სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტმა მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით, მოიწვია ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც დაადგინა, რომ სამუსლიმანო საქართველო მთლიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ყრილობამ აირჩია მეჯლისი (პარლამენტი), რომლის თავმჯდომარედ მემედ აბაშიძე აირჩიეს, მეჯლისში არასასურველი ელემენტებიც მოხვდნენ, მაგრამ მათ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები სჭარბობდნენ. ორივე ჯგუფს ურთიერთშორის ბრძოლის წარმოება უხდებოდა. მოწინავე წევრთა მეთაური მემედ აბაშიძე ტაქტიანი გამოსვლებით, შორსმჭვრეტელური მოქმედებებით ყოველთვის ამარცხებდა მეჯლისის მავნებელ ძალებს.

1920 წლის თებერვალში, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შესახებ. ეს, ქართველი ხალხისათვის ზურგში დანის ჩაცემა იყო, საქართველოს განუყოფელი ბათუმი, საერთაშორისო იმპერიალიზმის ინტრიგისა და თარეშის ბაზად რჩებოდა. ამ გადაწყვეტილებას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა" მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით — 19 მარტს ბათუმში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელმაც მიიღო შემდეგი დადგენილება: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ პირველი — ქ. ბათუმი და მისი ოლქი... შეადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს, მეორე — მათი საქართველოდან ძალით ჩამოგლეჯა უდრის თვით საქართველოს რესპუბლიკის გაქრობის სურვილს და მესამე — ბათუმის შესახებ ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ფეხქვეშ თელავს ბათუმისა და მისი ოლქის მცხოვრებთა არაერთხელ გამოთქმულ სურვილს საქართველოსთან შეერთების შესახებ და გამოთქვამს ღრმა პროტესტს ასეთი ძალადობის წინააღმდეგ და ითხოვს ბათუმისა და მისი ოლქის დედასაქართველოსთან გაერთიანებას".

1921 წლის მარტში, თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარაში ჩამოვიდა ანგორის დელეგაცია. მან დავალებული ჰქონდა აჭარის მეჯლისთან მოლაპარაკება, რათა ამ უკანასკნელს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ბაზაზე, გამოეტანა გადაწყვეტილება საქართველოსაგან აჭარის ჩამოცილებისა და მისი თურქეთთან შეერთების შესახებ. მეჯლისის გადაწყვეტილებას საერთაშორისო უფლებების მიხედვით დიდი იურიდიული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თუ მეჯლისი გამოიტანდა ასეთ დადგენილებას, მაშინ ანგორის მთავრობა ასეთ გადაწყვეტილებას მის სასარგებლოდ გამოიყენებდა.

მემედ აბაშიძემ ანგორის მთავრობის წარმომადგენლობას შემდეგი პასუხი გასცა: „მეჯლისს არა აქვს იურიდიული უფლება ოფიციალურად დასვას აჭარის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, განიხილოს ის და რაიმე სახის დადგენილება გამოიტანოს".

ამრიგად, მეჯლისმა ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი გადადგა. მძიმე პირობებში მან შეძლო დაეცვა საქართველოს მთლიანობა, ეს მოხდა მემედ აბაშიძის პატრიოტული, გაბედული და ტაქტიკური მოქმედების შედეგად.

1917 წელს მემედ აბაშიძე აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, ხოლო პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ — საქართველოს პარლამენტის წევრად.

მწერალი პარმენ ლორია იხსენებს: „მახსოვს, ერთხელ მემედ აბაშიძე აღელვებული მოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებაში, რომლის წევრიც თვითონვე იყო და მაგიდაზე ახალმიღებული პასპორტი დადო:

— რა არის ეს? რას ნიშნავს ეს? — შეწუხებული შეკითხვა იგი.

— რა უნდა იყოს, პასპორტია.

— პასპორტი რომაა მეც ვიცი, ზედვე აწერია, მაგრამ ერთი მითხარი ვისია?

— თქვენია, ბატონო მემედ! თქვენს სახელზეა გამოწერილი, — შევკადრე მე.

— კაცო, ჩემს სახელზე კი, მაგრამ... ერთი ჩახედე ამას და თითი იქ დადე, სადაც ეროვნება აწერია. როგორ, მე ეროვნებით აჭარელი ვარ? როდის გამოიგონეს ასეთი ერი?

— არა, ამას ასე არ დავტოვებ, — მტკიცედ თქვა მემედმა და წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მემედმა ახალმიღებული პასპორტი მიჩვენა, რომელშიც შეცდომა გასწორებულიყო და ეროვნების გასწვრივ ქართველი ეწერა...".

მადლიერი ქართველი ხალხი დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით იხსენებს ღვაწლმოსილი მამულიშვილის, საქართველოს პატრიოტის — მემედ აბაშიძის სახელს. დღეს, მისი საოცნებო აჭარა, ქართული სიტყვისა და სულის აღორძინების მხარეა.

მემედ აბაშიძის მიერ განვლილი სპეტაკი ცხოვრება გვიჩვენებს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი პატრიოტი ქართველი, რომელმაც პირადული [illegible] ანაცვალა საქართველოს კეთილდღეობას, ქართველი ერის ერთიანობას და საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას. ყოველივე ამან განაპირობა, რათა შექმნილიყო სრულიად საქართველოს მემედ აბაშიძის საქველმოქმედო საზოგადოება „მამულიშვილი", რომელიც განახორციელებს ცხოვრებაში მ. აბაშიძის აზრებს, რითაც წვლილს შეიტანს საქართველოს მცხოვრებლების შემდგომი ბედნიერებისა და წინსვლის საქმეში.

თეიმურაზ კომახიძე,
სრულიად საქართველოს მემედ აბაშიძის საქველმოქმედო საზოგადოების „მამულიშვილის" პრეზიდენტი.

სურათზე: მემედ აბაშიძე.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში

ამას წინათ გამოქვეყნდა ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ „ნეზავისიმაია გაზეტას“ სპეციალურ კორესპონდენტთან. მოსკოველ ჟურნალისტებთან საუბარში სხვა საკითხებთან ერთად რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე შეეხო „მხედრიონის“ მოქმედებას და აღნიშნა: „ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეურიგდება შეიარაღებულ ფორმირებათა საქმიანობას, რომლებიც მთავრობას არ ემორჩილებიან. ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც ეს შესაძლებელი იყოს. მით უმეტეს, ბანდიტური დაჯგუფებებისა, რომლებიც პირდაპირ თავზარს სცემენ მოსახლეობას“. შემდეგ იქვე შენიშნა, მათ წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები რომ არ განხორციელებულიყო, „საქართველოს ტერიტორიაზე, უკვე დღეს, შეიძლებოდა ყოფილიყო საგანგებო წესები“.

დიახ, შეიარაღებული ფორმირებები დღევანდელი საქართველოს მწარე და ტკივილიანი რეალობაა. როგორც იმავე ინტერვიუში ითქვა, ჩვენთან თურმე 12 ათასი კაცი ყოფილა იარაღასხმული. შინაური თუ გარეშე ოპონენტი, საზოგადოების ერთი ნაწილი, ამ ფაქტს ზოგჯერ დიდ პოლიტიკას უკავშირებს, მას ჩვენში მიმდინარე მოვლენებისადმი საკუთარი ინტერპრეტაციის მიზნით იყენებს. როგორიც არ უნდა იყოს შეფასება, ერთი რამ ცხადია — ხალხი მტკივნეულად განიცდის ამგვარ დაპირისპირებას, მოითხოვს ერისთვის ამ მძიმე ჟამს კონსოლიდაციას, სიმშვიდეს, დაძაბულობის და ქაოსის აღმოფხვრას, ბოლომდე სრული სიმართლის თქმას. საზოგადოება ამავე მოთხოვნებს უყენებს სამართალდამცავ ორგანოებს — დაამყარონ რესპუბლიკაში წესრიგი, მიაღწიონ ცხოვრების სტაბილიზაციას, დაიცვან ადამიანები შეიარაღებული ბანდებისაგან. თუ რა კეთდება ამ მიმართებით, ახლახან სწორედ ამას მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის სხდომა, რომლის მსჯელობის საგანიც იყო საკითხი: „ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების უკანონოდ შეძენის, შენახვისა და ტარების წინააღმდეგ არსებული კანონების შესრულებაზე საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობის შესახებ“.

დავიწყოთ იმ აღიარებული და სავალალო ფაქტით, რომ ამ ბოლო ხანებში რესპუბლიკაში უკიდურესად დაიძაბა ოპერატიული ვითარება, გახშირდა იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით თავდასხმები მილიციის მუშაკებზე, სამოქალაქო და სამხედრო ობიექტებზე. მოსახლეობაში დაგროვდა დიდძალი იარაღი, ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი ნივთიერება, რამაც გამოიწვია სხვადასხვა დანაშაულის მკვეთრი ზრდა, ადამიანთა მსხვერპლი. კერძოდ, შარშან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილია 383 დანაშაული (აქედან 100 შემთხვევა მოდის მკვლელობასა და მის მცდელობაზე), 26 ყაჩაღობა, 64 ხულიგნობა და ა. შ. ვითარება კიდევ უფრო გართულა ზოგიერთ რეგიონში თვითნებურად შექმნილმა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა, სადაც ძირითადად დამნაშავე ელემენტები და სხვა საეჭვო პირები გაერთიანდნენ.

შარშან წლის პირველ ნახევარსა და წლევანდელ განვლილ პერიოდში ამოღებულია 1 რაკეტის გასასროლი დანადგარი საბრძოლო რაკეტით, 2 ტანკი, ამდენივე ჯავშანტრანსპორტიორი, 2 სეტყვისსაწინააღმდეგო ქვემეხი, 100 ხელყუმბარა, 43 ასაფეთქებელი მოწყობილობა, 15 ავტომატი, 108 სხვადასხვა მარკის პისტოლეტი და რევოლვერი, 247 არარეგისტრირებული სანადირო და 36 გადაჭრილი თოფი, 11.350 საბრძოლო ვაზნა, 29 „სიესის“ გაზის ბალონი, 535,5 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება, 25 შაშხანა, 98 დინამიტის კაფსული, 88 მეტრი ბიქფორდის ზონარი, 3 ყუთი ელექტროდეტონატორი, მოკლედ, მთელი საბრძოლო არსენალი.

იარაღისა და საბრძოლო მასალების უკანონოდ შეძენის, შენახვისა და ტარების გამო აღძრულია 222 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 101 სასამართლოშია წარმართული განსახილველად, 83-ზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, დანარჩენი განხილვის სტადიაშია.

„მხედრიონის“ განიარაღების შემდეგ კიდევ უფრო ქმედითი გახდა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრთა მხილება და მათი დაკავება. მივმართოთ ისევ ციფრებს. წლევანდელი 18 თებერვლიდან 8 მარტის ჩათვლით, „მხედრიონის“ წარმომადგენლებს ჩამოერთვათ 12 ავტომატი, 16 შაშხანა, 5 კარაბინი, 90 სანადირო, 9 გადაჭრილი თოფი და შაშხანა, 35 პისტოლეტი, 15 ხელყუმბარა, 759 საბრძოლო ვაზნა, 0,5 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება, 3 ყუთი ელექტროდეტონატორი, 16 სტაციონალური რადიოსადგური, 8 რადიოგადამცემი, 3 ჯავშანტრანსპორტიორი, 5 ტყვიაგაუმტარი ჟილეტი, 1 მიკროტელეფონი, 44.500 მანეთი ფული, 177 სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა და ა. შ. ამ შეიარაღებული ფორმირების წევრთა მიმართ აღძრულია 78 სისხლის სამართლის საქმე, დაპატიმრებულია 63 პირი, მიმდინარეობს 21 დამნაშავის ძებნა.

ვინ აჟღარუნებს ჩვენს მამულში იარაღს

ერთი შეხედვით, მოყვანილი ციფრები მეტად შთამბეჭდავი და სოლიდურია, მაგრამ საქმის არსს თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით და მას რეალური, კრიტიკული თვალთახედვით მივუდგებით, გატარებული ღონისძიებები მაინც არასაკმარისად წარმოგვიდგება. საქართველოში თუ მართლაც 12 ათასამდე შეიარაღებული დადის, მაშინ ამგვარი მონაცემები, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია. ამიტომ კოლეგიის სხდომასაც სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა დაადგინა: „მიუხედავად გარკვეული დადებითი შედეგებისა, რესპუბლიკის შს ორგანოების მუშაობა იარაღისა და საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების შეძენის, შენახვის, ტარების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს საზოგადოების ინტერესებს და მიჩნეული უნდა იქნას არასაკმარისად“. განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმას, რომ ჯერ კიდევ ხშირია ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების არასრულყოფილი, უხარისხო გამოძიების, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევების შემთხვევები. ზოგჯერ აშკარაა დანაშაული, ამოღებულია იარაღი, დადგენილია ეჭვმიტანილები, მაგრამ მათ მიმართ არ ტარდება კანონით გათვალისწინებული ზომები, არ ხდება ბოროტმოქმედთა დაკავება-დაპატიმრება. ამგვარი ფაქტები გამოვლინდა ქუთაისის ყოფილი ლენინის რაიონის შს განყოფილებაში (თ. ყურაშვილის სისხლის სამართლის საქმე), ბაღდათის რაიონში (გ. მაკარიძისა და სხვათა საქმე), საგარეჯოს რაიონში (გ. გოდერძიშვილისა და სხვათა საქმე), თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში (თ. ყურაშვილის, გ. გოგჩელიძის საქმე) და სხვა.

ისიც ითქვა, რომ არასრულყოფილია შს ადგილობრივი ორგანოების მუშაობა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრთა მიერ ქონებრივი და სხვა დანაშაულებათა გამოსავლინებლად და დასადგენად. არადა, ხალხი შეწუხებულია მათი აღვირახსნილი მოქმედებით, ძარცვა-ყაჩაღობით და გამოძალვით. როგორც ეს კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, კახეთში თითქმის არ არის ისეთი ოდნავ შეძლებული ოჯახი, რომლისთვისაც ფული არ წაეგლიჯოთ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის თანხებს სძალავდნენ კოოპერატივებს. მანქანებისა და სხვა სახელმწიფო ქონების დატაცება ხომ მათთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო! რასაც მოიხელთებდნენ, ვითომ „სამშობლოს ინტერესებისათვის“, მოურიდებლად ისაკუთრებდნენ. განურჩევლად ყველას ძარცვავდნენ — ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს მანქანებს ართმევდნენ, არ ინდობდნენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებსაც კი. მილიცია ამ ყოველივეს ერთგვარად შეგუებული იყო, პასიური პოზიცია ეჭირა, ერიდებოდა კიდეც დამნაშავე ძალებთან დაპირისპირებას. ასეთ შემთხვევაში არც პროკურორები იჩენდნენ საჭირო მომთხოვნელობას შს ორგანოების მიმართ.

არც სასამართლოები იყვნენ და არიან მოწოდების სიმაღლეზე. ამის გამო პირდაპირ ითქვა — ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა არ პასუხობს რესპუბლიკაში კანონიერების განმტკიცების მოთხოვნებს და რეალურ გავლენას ვერ ახდენს ოპერატიულ ვითარებაზე. იშვიათი როდია გაჭიანურების, უკანონო და აშკარა ლმობიერი განაჩენების გამოტანის ფაქტები. ასევე ხშირად იყენებენ სასჯელის ისეთ ღონისძიებებს, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

ჯერ კიდევ შარშან, 29 ივლისს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ ადგილებზე გაიგზავნა სპეციალური მითითება, რომელიც ითვალისწინებდა საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებას, იარაღის, საბრძოლო მასალებისა და ფეთქებადი ნივთიერებების უკანონოდ ტარების, შენახვის, შეძენის, დამზადება-გასაღებისათვის სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დროს კანონიერების დაცვას, ყველა დამნაშავე პირის გარდუვალ დასჯას. ამ მიზნით შექმნილმა ჯგუფმა განვლილ პერიოდში შეისწავლა ამ კატეგორიის 49 სისხლის სამართლის საქმე და არაღძრული მასალა. ამის შედეგად გაუქმდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თუ შეჩერების შესახებ მიღებული 14 დადგენილება. წერილობითი მითითებები გაიცა 15 სისხლის სამართლის საქმეზე. ასევე 3 მასალაზე გაუქმდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილება.

ამის მიუხედავად, კოლეგიამ ჩათვალა, რომ არასაკმარისია საპროკურორო ზედამხედველობა. კერძოდ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორები არ ახორციელებენ ქმედით ზომებს კანონის დარღვევათა აღსაკვეთად, არ აპროტესტებენ აშკარად ლმობიერ და დაუსაბუთებელ განაჩენებს. ამაზე მიუთითებს ის, რომ 1989-1990 წლებში მათ არ გაუპროტესტებიათ არც ერთი ასეთი საქმე.

საქართველოს პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე საგანგებო საუბარი გაიმართა შექმნილი კრიმინოგენური ვითარების პირობებში რესპუბლიკის საზოგადოების, პირველ რიგში, ინტელიგენციის როლსა და მოვალეობაზე.

საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელებულია აზრი, რომ ქართველი კაცი იარაღს უნდა ატარებდეს და ამას ვითომ ეროვნული ინტერესები მოითხოვს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს განსაკუთრებით დამღუპველ გავლენას ახდენს არასრულწლოვანებზე, რომელთა მიერ ამ ბოლო დროს არაერთი მკვლელობა, თავდასხმაა ჩადენილი.

ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელთაც აქვთ იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები, არ ახორციელებენ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს დადგენილი წესით მათ შესანახად, რაც დატაცებისა და ქურდობის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის. ასეთი ფაქტები გამოვლინდა სოხუმის, გალის, თბილისის დიდუბის რაიონებსა და სხვა ადგილებში. თავის მხრივ მილიციის ორგანოები ადგილებზე არ აღრიცხავენ ასეთ დაწესებულებებს, არ ატარებენ შემოწმებებს, არ ახდენენ შესაბამის რეაგირებას გამოვლენილ დარღვევებზე.

ხალხის უმრავლესობა კმაყოფილებით შეხვდა „მხედრიონის“ წევრთა მიმართ გატარებულ რადიკალურ ღონისძიებებს, მაგრამ, როგორც ეს კოლეგიის სხდომაზე ითქვა, მათი განიარაღების ტემპი ჯერ კიდევ არასაკმარისია. ასევე ბევრი დამნაშავე თავისუფლად დადის, არ არის მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამ მხრივ გადამჭრელი და დაუყოვნებლივი ზომები თუ არ განხორციელდა, შეიძლება ისინი ისევ შეიარაღდნენ და საფრთხე შეუქმნან საზოგადოებას. უნდა მოხდეს სხვა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა ლიკვიდაციაც, ეს პროცესი ცალმხრივი არ უნდა იყოს, სხვაგვარად ხალხს ვერ დავარწმუნებთ ჩვენი მიზნების სამართლიანობაში. რაც მთავარია, ვიდრე კანონიერების დამცველნი იძულებით ჩამოართმევდნენ ვინმეს იარაღს, და ამით თავის დანაშაულს კიდევ უფრო დაამძიმებდეს, სჯობს, გონიერებას მოუხმოს ყველამ და ნებაყოფლობით განიარაღდეს. ჩვენი მართლმსაჯულება ჰუმანურია იმათ მიმართ, ვინც უნებურად შეცდა და ახლა გულწრფელად განიცდის თავის არასწორ ნაბიჯს, მაგრამ თუ ვინმე კვლავ აპირებს იარაღის ჟღარუნს, ხალხისადმი დაპირისპირებას და მისი სიმშვიდის ხელყოფას, მას რესპუბლიკის სახელით, კანონის მთელი სიმკაცრით მოეთხოვება პასუხი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ახალი წიგნები



„ციცქნა“ წიგნები — თქვენს ბიბლიოთეკაში

ქართველ წიგნისმოყვარულებს უთუოდ გაახარებს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მიერ გამოცემული მინიატურული, „ციცქნა“ წიგნები. იგი ჩვენი საოჯახო ბიბლიოთეკების ნამდვილი მშვენება გახდება.

ჩვენი დიდი მასწავლებლის, „დედა ენის“ უკვდავი ავტორის, პუბლიცისტისა და საბავშვო მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავს ეძღვნება კრებული „სხივი წარსულისა“. წიგნში შეტანილია ნაწილი მწერლის ისტორიული თხზულებებისა, რომლებშიც ასახულია სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილების გმირობა და თავგანწირვა, ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ქვეყნის გაერთიანებისათვის. ამ პაწაწინა წიგნის ფურცლებიდან შემოგვცქერიან ჩვენი დიდი წინაპრების უკვდავი აჩრდილები და თავისი მოწამებრივი ცხოვრებით ერთხელ კიდევ შეგვახსენებენ, რომ სამშობლოზე ძვირფასი ქვეყნად არა არის რა.

მეორე წიგნს, რომელიც ასევე წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გრიფით არის გამოცემული, „მთაწმინდის მთვარე“ ჰქვია. ესაა ქართველი პოეტების ლექსები თბილისზე. კრებულში დაბეჭდილია ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, იეთიმ გურჯის, სანდრო ყანჩელის, ალექსანდრე აბაშელის, ვალერიან გაფრინდაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, საფო მგელაძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ხარიტონ ვარდოშვილის, ილო მოსაშვილის, ტერენტი გრანელის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, რევაზ მარგიანის, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, იოსებ ნონეშვილის მშვენიერი ლექსები დედა-თბილისზე.

მესამე წიგნში — „ქართული ექსლიბრისი“ დასტამბულია ქართველ მხატვართა მიერ ეროვნული კოლორიტითა და დახვეწილი გემოვნებით შექმნილი წიგნის ნიშნები. ეს გამოფენა მიეძღვნა ექსლიბრისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის 24-ე ინტერნაციონალურ კონგრესს, რომელიც შარშან წლის ბოლოს გაიმართა გერმანიის ქალაქ მიუნხენგლადბახში და დაურიგდა ამ ფორუმის დელეგატებს.

კიდევ არაერთი მინიატურული გამოცემით გაახარებს მკითხველებს რესპუბლიკის წიგნის მოყვარულთა საზოგადოება. გამოვა რუსთაველის აფორიზმები, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია და წერილები, ვაჟა ფშაველას პოემები, აკაკი წერეთლის ნაკვესები, ბრძნული გამონათქვამები, პოემები, მოთხრობები, ცალ-ცალკე „ბაში-აჩუკი“ და „ჩემი თავგადასავალი“, ჯემალ აჯიაშვილის თარგმნილი „ძველი ებრაული პოეზია“, გალაკტიონ ტაბიძის კრებული „ლურჯა ცხენები“ და მისივე რჩეული „თეთრი პელიკანი“, იოსებ გრიშაშვილის ლექსები „თეთრი წვიმა“, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველები, ანა კალანდაძის ლექსები... ამ „ციცქნა“ წიგნებს ხიბლს შემატებს ცნობილი მხატვრების ლევან ცუცქირიძის, დავით დუნდუას, ზურაბ ნიჟარაძის, თენგიზ მირზაშვილის ნამუშევრები.

* * *

სურათზე: ახალი — „ციცქნა“ წიგნები.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

31 მარტი

საქართველოს მწვანეთა და საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაციის მიმართვა

საქართველოს მოსახლეობას, ყველა პოლიტიკურ პარტიას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს

1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარდება რეფერენდუმი, რომლის დროსაც საქართველოს მოსახლეობამ ცალსახად უნდა გამოხატოს თავისი ნება — სურს თუ არა მას საქართველოს დამოუკიდებლობა.

იმის გამო, რომ რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილება უკვე ოფიციალურად არის მიღებული (მიუხედავად ამ რეფერენდუმის მიზანშეწონილობისადმი განსხვავებული შეხედულებებისა), თითოეული ჩვენთაგანის ვალია, ხელი შევუწყოთ მაქსიმალური შედეგის მიღწევას — დავანახოთ მთელ მსოფლიოს, რომ ყოველგვარი პარტიული თუ სხვაგვარი დაპირისპირების მიუხედავად ჩვენ ყველას გვაერთიანებს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეა.

მოვუწოდებთ საქართველოს მთელ მოსახლეობას, მხარი დაგვიჭიროს ჩვენი ჩანაფიქრის ხორცშესხმაში — რეფერენდუმამდე გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოში დამყარდეს რეალური თანხმობისა და სიმშვიდის პერიოდი, რომელსაც დასაბამი მიეცემა ა. წ. 23 მარტს. ამ დღის აღსანიშნავად მთელს საქართველოში დაირგვება მრავალი ათასი ძირი ხის ნერგი. ხოლო თბილისში საფუძველი ჩაეყრება თანხმობის ბაღს, სადაც პირველ ნერგებს დარგავენ იმ პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ვინც მოისურვებს და შემოუერთდება შემოთავაზებულ ინიციატივას. ეს იქნება სიმბოლური გამოხატულება საქართველოს მთელი მოსახლეობის ერთობისა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭო, საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია.

ხიდი

„....თავისუფალ საქართველოში დავბრუნდები“

ამ დღეებში ცნობილმა ქართველმა მხატვარმა კობა გურულმა ამერიკიდან ბარათი მიიღო. მას შორეული ქვეყნიდან ხმა მოაწვდინა მისმა დეიდაშვილმა გიორგი მორალიშვილმა, ბედის უკუღმართობით „ქართველი ამერიკელი“ რომ გახდა.

„მჯერა, სულ მალე დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში დავბრუნდები“, — იწერება სამშობლოდან გადახვეწილი კაცი, რომლის ბარათსაც ვერც ერთი ჭეშმარიტი ქართველი ბოლომდე აუღელვებლად ვერ წაიკითხავს.

— გიორგის ოთხი ვაჟი ჰყავს, — გვიამბობს ბატონი კობა, — უფროსი — ანტონი არქიტექტორია, მამის სეხნია — ფილოლოგი, კარლო — ტექნოლოგი, ხოლო უმცროსი — ბუხუტი ჯერ კოლეჯში სწავლობს. საამაყოა, რომ, მიუხედავად სამშობლოდან სიშორისა, ოთხივე ვაჟი მშობლიურ ენაზე გამართულად ლაპარაკობს.

კობა გურულმა გაგვაცნო ნაწყვეტი ბარათიდან, რომელიც გიორგი მორალიშვილმა გაუგზავნა ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლს, უხუცეს ქართველ ემიგრანტს ამერიკაში, აწ განსვენებულ ალექსანდრე სულხანიშვილს: „თქვენს მიერ გამოგზავნილი თხუთმეტი მარტის წერილი თავის დროზე მივიღე, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ. თქვენ მიერ მოწერილი ყოველივე ჩემთვის გასაგებია, გასაგებია აგრეთვე თქვენი გულისტკივილიც და სიყვარული ჩვენი პატარა და აგრეთვე ჩვენთვის დიდი სამშობლო საქართველოსი.

ბატონო ალექსანდრე, ვცდილობ, რომ ჩემი შვილები ცოტათი მაინც გამოადგნენ ჩვენ სამშობლოს საქართველოს. შეძლებისდაგვარად მეც ვუნერგავ საქართველოს სიყვარულს. ჩემმა შვილებმა კარგად იციან ჩვენი სამშობლოს ბედი“.

ბატონ კობას ნებართვით გიორგი მორალიშვილის რამდენიმე ბარათი ბოლომდე წავიკითხე.

„ძმაო კობა, ჩემი ცხოვრების მიზანია, — წერს გიორგი მორალიშვილი, — რომ ჩემმა შვილებმა იცოდნენ, სად არის მათი სიცოცხლის ფესვები და გამოადგნენ ტურფა საქართველოს“.

მართლაც, „სად წაიყვან სადაურსა...“, ზედგამოჭრილია გიორგი მორალიშვილზე. მას მეორე მსოფლიო ომმა სტუდენტობისას მოუსწრო, მაშინ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ეუფლებოდა მასწავლებლის პროფესიას, მაგრამ ჯარში გაწვევამ შეწყვიტა ახალგაზრდა კაცის მომავალი გეგმების განხორციელება. 1943 წლამდე ფრონტიდან ხშირად მოდიოდა სამკუთხა ბარათები, მერე კი შეწყდა. მშობლებმა და ახლობლებმა დაღუპულად ჩათვალეს. და აი, წლების შემდეგ გამოჩნდა მისი ბარათი და ნათესავებმა შვებით ამოისუნთქეს: გიორგი ცოცხალია. იგი ომის შემდგომ ამერიკაში დასახლდა და თავის ორ ქართველ მეგობართან ერთად საბურავების წარმოებას მიჰყო ხელი. ამჟამად პენსიონერია, ჰყავს ამერიკელი მეუღლე და მთელი თავისი ფიქრითა და ოცნებით სულ საქართველოშია. მშობლიური ქვეყნის სიყვარულით ფეთქავს მისი გული, მისი ბარათების ყოველი სტრიქონი. მართლაც, რა ძალა აქვს ამ სიყვარულს, მშობლიური მიწის ყივილი რომ ჰქვია.

გულიკო მარკოზაშვილი,
საქინფორმის კორ.

თვალსაზრისი

ფიქრები მიწის რეფორმაზე

ამჟამინდელი საქართველო თავისი ისტორიული ტერიტორიის ნახევარსაც კი ვერ ფლობს. ვინაიდან მიწა-წყალი და შესაბამისი გეოგრაფიული გარემო, სადაც ისტორიულად ერთი მოდგმის ხალხი ცხოვრობს, ერის არსებობის აუცილებელი საფუძველია და რადგან საქართველოს ძველად კუთვნილი და ამჟამად დაკარგული მიწების უკან დაბრუნებაზე ლაპარაკს ამჟამად აზრი არა აქვს, მიწათსარგებლობის მომავალმა რეფორმამ უნდა გადაჭრას საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი ორი კარდინალური საკითხი. პირველი, ესაა ქართული სოფლის აღორძინების და სოფლად ქართული მოსახლეობის დამკვიდრების პრობლემა, რადგან სოფელი ეროვნული ტრადიციების, კულტურის და ერის ფიზიკური არსებობის საფუძველთა საფუძველია. მეორე კარდინალური საკითხია, ჩვენი საზოგადოების ისტორიული მოვალეობა: ჩვენი კუთვნილი მიწა დღევანდელ დონეზე მაინც შევინარჩუნოთ.

უკანასკნელად საქართველოს ტერიტორია მკვეთრად შემცირდა თებერვლის რევოლუციის მომდევნო პერიოდში. განსაკუთრებით კი, ჩვენში კომუნისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ. მიწის რეფორმა, რომელიც მიწის რესურსების სამართლიან განაწილებას და მის რაციონალურ გამოყენებას ითვალისწინებს, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის ურთულესი პრობლემაა. საქართველოსთვის ეს პრობლემა ბევრად უფრო გართულებულია მისი მცირემიწიანობისა და მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამო. საეჭვოა, რომ მიწის რეფორმის გატარება ეროვნული ინტერესების სრული დაცვით შესაძლებელი იყოს საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღებით, თუმცა ამ დროს შესაძლებელი იქნება რთული დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინება. ამიტომ, ქართველი ხალხის მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, მიწის მომავალ რეფორმაში, ჩვენი აზრით, თავდაპირველად საქართველოს რესპუბლიკა მიწის ფონდის უზენაეს და შეუზღუდავ მესაკუთრედ უნდა ვაღიაროთ.

რეფორმის ჩატარებამდე განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიეკუთვნოს განსხვავებული დემოგრაფიის მქონე რეგიონებსა და დასახლებებს. პირველ ყოვლისა, ასეთ რეგიონებს და დასახლებულ პუნქტებს მიეკუთვნებიან სასაზღვრო ზოლის ზოგიერთი უბნები და იქ განლაგებული სოფლები. ასეთ საზღვრისპირა სოფლებში, მთელი ტერიტორია ამჟამად არსებული საკარმიდამო ნაკვეთების გამოკლებით, უნდა გადავიდეს სახელმწიფოს განუყოფელ საკუთრებაში. მომავალში, თავისუფალი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საზღვრისპირა სოფლებში სახელმწიფო მიწის ფონდიდან საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფა უნდა მოხდეს მხოლოდ ქართული ეროვნების ოჯახებისათვის. სახელმწიფო ფონდის მიწებზე უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო მეურნეობები, სადაც დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. განსაკუთრებული სტატუსის მქონე სოფლებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე თბილისის ახლომდებარე დასახლებანი, რადგან თბილისი ძირითადად ამ სოფლებიდან მარაგდება ბოსტნეულით, საქონლისა და ფრინველის ახალი ხორცით და სხვა მალფუჭებადი პროდუქტებით.

აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით თბილისის მოსახლეობის სტაბილური მომარაგების მიზნით, ქალაქთან ახლომდებარე სოფლების ტერიტორიაზე უნდა შევინარჩუნოთ, ან თავიდან შევქმნათ სახელმწიფო მეურნეობები ძირეულად შეცვლილი დემოკრატიული თვითმმართველობის სტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს დასაქმებული მუშახელის მიერ გაწეული შრომის პატიოსან და ობიექტურ ანაზღაურებას.

ცხადია, რომ მიწის რეფორმა, პირველ ყოვლისა, გაითვალისწინებს, მიწის ფონდის საერთო აღრიცხვას, მისი კუთვნილების მიხედვით (საკოლმეურნეო, საკარმიდამო, საბჭოთა მეურნეობის, სახელმწიფო ფერმების, სამრეწველო ობიექტების, სატყეო მეურნეობის და სხვა) და ამასთანავე უნდა მოხდეს მიწების გადანაწილება სოფლებს შორის. საილუსტრაციოდ ავიღოთ ასეთი მაგალითი, ვთქვათ მთის ან მთისპირა სოფელი ესაზღვრება ბარის სოფელს, რომელიც მოსახლეობის სიმცირეს არ განიცდის, მაშინ როცა მისი მოსაზღვრე მთისპირა სოფელი ნახევრად ან უფრო მეტად დაცარიელებულია. მსგავს შემთხვევაში, მცირე სოფლის მიწის ფონდის ნაწილი უნდა მიეკუთვნოს ჭარბი მოსახლეობის მქონე სოფელს. უნდა დაკანონდეს მეზობელ სოფლებს შორის ერთ მოსახლეზე მოსული მიწის სავარგულების უთანაბრობის ზღვრული კოეფიციენტი. მაგალითად, დაუშვებელია, რომ ერთი სოფლის მოსახლეს 3-ჯერ, ან კიდევ უფრო მეტი მიწის ფართობის მიღების შესაძლებლობა ჰქონდეს, ვიდრე მეორე — მეზობელი სოფლის მკვიდრს, მიუხედავად ამ მიწების კუთვნილებაზე უფლების ქონებისა. უთანაბრობის კოეფიციენტი ალბათ ერთნახევარ-ორის ფარგლებში უნდა იყოს მიწის ისტორიულად მფლობელი სოფლის სასარგებლოდ.

სოფლის ტერიტორიის საზღვრების დადგენის შემდეგ, უნდა გამოიყოს საკუთრივ სოფლის მოსახლეობისათვის განაწილებული სავარგულები და სახელმწიფოსარეზერვო ფონდი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოს და სოფლის ინტერესების თანაბარი გათვალისწინებით.

ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის უმძიმესი გამოცდილებიდან გამომდინარე, მიწის განაწილებისას, მისი ეფექტიანი გამოყენების მიზნით, აუცილებელია სრული თავისუფლება მიეცეს მიწის კერძო მფლობელობას, პირად ინიციატივას, ნებაყოფლობით შრომის რეჟიმს — სახელმწიფოს ჩარევის გარეშე და რაც მთავარია, მიღებული მოსავლის შეუზღუდავი განკარგვის უფლებას.

სოფლის მოსახლეობაზე სავარგულების განაწილება შეიძლება განხორციელდეს ორი ხერხით: გამოიყოს და დაჯგუფდეს მათი ვარგისიანობის ხარისხის მიხედვით დაახლოებით ერთნაირი ღირსების მქონე მიწები და განაწილდეს ყველა მოსახლეზე. ყველა ცალკეული ღირსების მქონე ჯგუფის მიწები, მეორე ხერხია — სავარგულების განაწილება ვარგისიანობის კოეფიციენტის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს სავარგულის მოსავლიანობას, ნიადაგის მდგომარეობას (დაჭაობების, დამარილიანების ან სხვა მსგავსი ხასიათის ნაკლოვანებების მიხედვით), ადგილმდებარეობის მოხერხებულობას. კოეფიციენტი საგრძნობლად არ უნდა აღემატებოდეს ერთი მეორეს, მოსახლეობისათვის გასანაწილებელი მიწები ისე უნდა შეირჩეს, რომ ყველაზე უარესი სავარგულებისათვის კოეფიციენტი ერთნახევარს მაინც არ უნდა აღემატებოდეს.

სახელმწიფო-სარეზერვო ფონდის გამოყოფა უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობასთან შეთანხმებით და დადგენილი მინიმუმის გათვალისწინებით, სახელმწიფო-სარეზერვო ფონდის მინიმალური პროცენტი უნდა დადგინდეს რეგიონების მიხედვით ცენტრალური ხელისუფლების მიერ. სახელმწიფო-სარეზერვო ფონდში უნდა იქნეს აგრეთვე შეტანილი გაუქმებული და ახალგაზრდა ოჯახების გარეშე დარჩენილი, მეტწილად კი დაცლილი სოფლების ტერიტორიები.

ჭარბი მოსახლეობის მქონე სოფლებში, უნდა შეწყდეს ახალი კომლის გამოყოფა და ასეთი სოფლებიდან ახალგაზრდა ოჯახები უნდა ჩავასახლოთ დაცლილ და ნახევრადდაცლილ სოფლებში, სრული ნებაყოფლობით, სახელმწიფოს ხელშეწყობით, მატერიალური სტიმულირების და შეღავათების გამოყენებით.

სოფლისათვის გამოყოფილი სავარგულები ცალკეულ ოჯახებზე უნდა გაანაწილოს მოსახლეობის მიერ არჩეულმა პიროვნებების ჯგუფმა, ხელისუფლების წარმომადგენლის მონაწილეობით. მიწა უნდა განაწილდეს უფასოდ ადგილობრივ მუდმივ მაცხოვრებლებზე, მათთვის უვადო მფლობელობაში გადაცემით და მემკვიდრეობითი უფლებით.

ადგილობრივი მიწის ფონდის სიდიდის გათვალისწინებით, ყოველი სოფლისათვის უნდა განისაზღვროს ერთი კომლის მფლობელობაში გადასაცემი მიწის ფართობის მინიმუმი და სოფლის მცხოვრებთა ინტერესებიდან გამომდინარე (რომ არ მოხდეს ერთი ოჯახის ხელში მიწის მეტისმეტად დიდი ფართობების თავმოყრა) — მაქსიმუმი, რომლის ზევით მიწის ფართობის მფლობელობა კანონით აიკრძალება.

მიწის რეფორმაში უნდა დამუშავდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ცალკეულ კომლებზე არათანაბარი განაწილების პრინციპი: აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ოჯახის შრომისუნარიან წევრთა რაოდენობა, საერთო სულადობა, ოჯახის პერსპექტიულობა... უნდა დიფერენცირებული იქნას 6 ძირითადი ტიპის ოჯახი მაინც: ახალგაზრდა ოჯახი არასრულასაკიანი შვილით ან შვილებით, ოჯახი სრულასაკოვანი შვილით ან შვილებით, ქვრივი (ან მარტოხელა) ქალი ან კაცი შვილით ან შვილებით, უშვილო ცოლქმარი (არახანდაზმული), მოხუცი ცოლ-ქმარი (ან როცა ერთ-ერთი ინვალიდია), მარტოხელა ქალი ან კაცი — ასაკის მიუხედავად.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხი. მიწის გაყიდვის უფლება, რეფორმის გატარებისთანავე ყოვლად დაუშვებელია, რადგან შრომას გადაჩვეული მოსახლეობის ნაწილი მაშინვე დაიწყებს მის გაყიდვას. მიწა თავს მოიყრის ფულის მქონე, „საქმოსანი“ ადამიანების ხელში და ამრიგად უშრომელი შემოსავლის წყაროდ იქცევა. ამიტომ, თუ მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლება უარყოფილი არ იქნება, ეს უფლება გადავადებული უნდა იქნეს სულ ცოტა 5 წლით მაინც. ამასთანავე, უნდა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც მომავალში გამორიცხავს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მიწით ვაჭრობას (ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტა — მიწის ყიდვა-გაყიდვა საადგილმამულო ბანკის მეშვეობით შემოთავაზებულია პროფ. რ. რამიშვილის მიერ).

ცალკე განმარტებას საჭიროებს მიწის მემკვიდრეობით გადაცემის საკითხი. მიწის მემკვიდრეობის უფლება, განსხვავებით სხვა მოძრავ-უძრავი ქონებისა, უნდა ჰქონდეს მხოლოდ უახლოეს ნათესავებს და მხოლოდ იმავე სოფლის მუდმივ მცხოვრებს. თუ ეს იდეა გაზიარებული იქნება, მიწის მომავალმა რეფორმამ უნდა გაითვალისწინოს სხვაგან მცხოვრები მემკვიდრისათვის, სამემკვიდრეო სავარგულის მოსავლიანობის ამაღლების და კეთილმოწყობისათვის გაწეული ხარჯების კომპენსაციის საკითხი. კომპენსაციის იგივე პირობები უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, თუ მემკვიდრე იმავე სოფლის მცხოვრებია, მაგრამ უკვე ფლობს მიწის ფართობის დასაშვებ მაქსიმუმს, ან ისეთი ფართობის სავარგულს, რომ სამემკვიდრეო მიწის შემოერთებით, საერთო ფართობი დასაშვებზე მეტი გაუხდება.

სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ტყის, საძოვრების და სათიბების ფონდიდან სოფელს მუდმივ სარგებლობაში, მაგრამ გაყიდვის და კერძო მფლობელობაში განაწილების უფლების გარეშე, უნდა გამოეყოთ შესაბამისი ტერიტორიები დადგენილი ნორმების დაცვით და მათი ისტორიული კუთვნილების პრიორიტეტის გათვალისწინებით. მაგალითად, ორ სოფელს შორის მოქცეული სადავო საძოვარი (ტყე, ან სათიბი) უნდა მიეკუთვნოს იმ სოფელს, რომელსაც ის ისტორიულად ეკუთვნოდა. სოფლისთვის გამოყოფილი ტყის, საძოვრების და სათიბების ექსპლოატაციას აწესრიგებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ზემოდან ჩარევის გარეშე, მაგრამ მათი გამოყენების წესების დაცვას სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს.

მიზანშეწონილია მიწაზე დაწესდეს პროგრესული გადასახადი, ყოველი ცალკეული სოფლისათვის ერთ ოჯახზე მოსული მიწის ფართობის საშუალო მაჩვენებლის, სავარგულების ვარგისიანობის და სულადობრივი საოჯახო ფართობის სიდიდის გათვალისწინებით. მიწის ასეთი დიფერენცირებით მიიღწევა შედარებით მაღალი ფასის დადება ერთეულ ფართობზე მცირემიწიან სოფლებში და გადასახადის შემცირება მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. ამასთანავე, გადასახადის გაზრდის გამო არახელსაყრელი ხდება დიდი ფართობების თავმოყრა ერთი ოჯახის ხელში.

მიწის რეფორმაში უნდა აისახოს დამოკიდებულება მოაგარაკეთა და მებაღეებისათვის ამჟამად გამოყოფილ და ათვისებულ ნაკვეთების მფლობელობის მიმართ. სასოფლო სავარგულების სიმცირის გამო მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ ქალაქელი მოსახლეობისათვის ახალი სააგარაკო ნაკვეთების გამოყოფა მხოლოდ ნასოფლარ, ან თითქმის დაცარიელებულ სოფლებში და ისეთ ფართობებზე, რომელთა ათვისება ზიანს არ მიაყენებს უახლოესი სოფლის მოსახლეობას.

მიწის რეფორმაში უნდა აისახოს მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულო უნდა იყოს მიწის კერძო მფლობელისათვის. ამ მოთხოვნებში უმთავრესი უნდა იყოს კერძო მეურნის ვალდებულება, სავარგულიდან რეგულარული მოსავლის მიღების შესახებ. აგრეთვე წარმოდგენილ უნდა იქნეს, იმ სამართალ ქმედებათა ჩამონათვალი, რის გამოც სოფლის მცხოვრებს ჩამოერთმევა მიწა (სხვა სასჯელთან ერთად ან მის გარეშე), ე. ი. აეკრძალება თავის სოფელში ცხოვრება.

მიწის სახელმწიფო-სარეზერვო ფონდი, გამოყენებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად მეურნეობის ისეთი ფორმის გამოყენებით, რომელიც უკეთესად ესადაგება ადგილობრივ პირობებს (სახელმწიფო მეურნეობა, საიჯარო კოოპერატიული მეურნეობა, კერძო საიჯარო მეურნეობები), რომელთა მოქმედების ვადა და მათთვის დასამუშავებლად გადაცემული სავარგულის ფართი სოფლის მოსახლეობის მიერ იქნება დადგენილი.

თუმცა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება უფრო მომგებიანი და ხელსაყრელია დიდ ფართობიან მეურნეობებში, იმისათვის, რომ გარკვეული დონით დაცულ იქნეს სოციალური სამართლიანობის პრინციპი და საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე (ქართველი მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი იყოს დამკვიდრებული მიწაზე) მიწათსარგებლობის ახალი წესი, ხელს არ უნდა უწყობდეს გამსხვილებულ კერძო მეურნეობის შექმნას და მცირემიწიან ან უმიწაწყლო გლეხების რაოდენობის ზრდას. ეს გარემოება ხაზგასმით უნდა აისახოს მიწის მომავალ რეფორმაში.

ბიჭი ბაჩქილაძე,
ტექნიკური მეცნიერების დოქტორი, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თანათავმჯდომარე.

ვინ ვინ არის

საქმის ვითარება კურორტ ბიჭვინთაში

ა. ა. ბასილაია-ე. ე. კაპბას მფარველობით

აი, ვინ არის ენვერ კაპბა, აფხაზეთის „ჭირისუფალი" და „პატრიოტი", 17 მარტის რეფერენდუმის სულის ჩამდგმელი. დღეს რამდენიმე დამატებით მასალას მოგაწვდით ბატონ კაპბაზე.

1970 წლის აგვისტოში სამუშაოდ მიიღეს თანამდებობაზე: კურორტ ბიჭვინთის პანსიონატების გაერთიანების ცენტრალური სასურსათო საწყობის გამგედ ზ. დ. შვანბა და ამავე საწყობის მეკუჭნავეებად ამხანაგები ა. ა. ცაჟბა, მ. ხ. კოჩკონიანი და ბ. ს. ბელი, აგრეთვე ამავე საწყობის უფროს ბუღალტრად — ა. ვ. მიხაილოვა, რომლებიც მუშაობდნენ 1977 წლის აგვისტომდე, ესე იგი შვიდ წელიწადს (მათ შორის დირექტორებად მუშაობის პერიოდში: ე. ე. კაპბა 1970 წლის აგვისტოდან 1975 წლის თებერვლამდე და ა. ა. ბასილაია — 1975 წლის თებერვლიდან 1977 წლის აგვისტომდე, შესაბამისად — 4,5 და 2,5 წელი).

ამ პერიოდში ზ. დ. შვანბას, ა. ა. ცაჟბას, ბ. ს. ბელის, მ. ხ. კოჩკონიანსა და ა. ვ. მიხაილოვას მინდობილი ჰქონდათ 25 მილიონი მანეთის სასურსათო საქონელი და ამავე საქონლის ტარა, რომელთაგან მათ დიდი ჯგუფის ორგანიზებული გარიგების გზით შვიდი წლის მანძილზე დაიტაცეს სასურსათო საქონელი და ტარა ერთი მილიონი მანეთის ოდენობით.

კურორტის პანსიონატების გაერთიანების მთავარი ბუღალტრის ა. პოლონსკის 1976 წლის 21 ნოემბრის, 1977 წლის 28 ივნისისა და 1977 წლის 15 სექტემბრის მოხსენებითი ბარათების თანახმად, რომლებიც კურორტისა და პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების საოლქო საბჭოს გაუგზავნეს, და პროფკავშირთა აფხაზეთის კურორტების საბჭოს 1977 წლის 10 აგვისტოსა და 1977 წლის 18 სექტემბრის რევიზიის დამტკიცებული აქტებით, რომლებსაც აგრეთვე ხელს აწერენ ზ. დ. შვანბა, ა. ა. ცაჟბა, მ. ხ. კოჩკონიანი, ბ. ს. ბელი და ა. ვ. მიხაილოვა, დადგინდა, რომ 1970 წლის აგვისტოდან 1977 წლის აგვისტომდე მთელი ამ შვიდი წლის პერიოდში მათ გააყალბეს ანგარიშგება სასურსათო საქონლისა და ტარის მოძრაობისა და ნაშთების შემოსავალში გაუტარებლობის, ამ ფასეულობათა ხარჯვის გაზრდის გზით და, შესაბამისად, მათი სადავთარო-სააღრიცხვო ნაშთების შემცირების მეშვეობით, ნატურალურ-ფიზიკური ნაშთები მათ ამოიღეს, ესე იგი დაიტაცეს.

თუ ავიღებთ მხოლოდ ცალკეულ თვეებს, ესე იგი 84 თვიდან 21 თვეს ან დატაცების პერიოდის მხოლოდ მეოთხედს, 52518 მანეთის ტარის დატაცებაა დადასტურებული.

პროფკავშირის აფხაზეთის საოლქო კურორტების საბჭოს რევიზიის 1974 წლის 31 მაისის აქტით, აფხაზეთის საოლქო კურორტების საბჭოს 1974 წლის 15 ივლისის № 85/0 განკარგულებით აგრეთვე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნულმა პირებმა მარტო 1973 წელს შემოსავალში არ გაატარეს 22488 მანეთის 187401 ბოთლი, რომლებიც დატაცებულია. მაგრამ არც აფხაზეთის კურორტების საბჭოს ამ განკარგულების დადგენილების ნაწილში, არც მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა გეგმაში (დატაცება, უნდა ვივარაუდოთ, ამ შემთხვევაში მიაკუთვნეს ნაკლოვანებებს, რომლებიც ე. ე. კაპბას ხელმოწერით რევიზიით არის აღნიშნული. 1974 წლის 31 მაისი), 22488 მანეთის ბოთლების დატაცებასთან დაკავშირებულ დანაშაულში მონაწილე პირთა ჯეროვანი პასუხისმგებლობის საკითხი საერთოდ არ ასახულა.

ამ ფაქტმა, ისევე როგორც ე. ე. კაპბას მფარველობის სხვა ფაქტებმა შეუქმნეს ზ. ტ. აბლაჟის და ა. ა. ბასილაიას დანაშაულებრივ ჯგუფს რწმენა, რომ შეეძლოთ დაუსჯელად განეგრძოთ დატაცებები, ესე იგი წაახალისეს ამით სოციალისტური საკუთრების დატაცება.

ა. პოლონსკის მოხსენებაში ჩამოყალიბებული წინადადებანი, რომ ეს მასალები გადაეცათ საგამოძიებო ორგანოებისათვის და მოეწყოთ ღრმა დოკუმენტური რევიზია მთელი შვიდი წლის პერიოდის მუშაობისა (არქივი დაცულია), მთელი ფასეულობების, განსაკუთრებით სასურსათო საქონლის მიხედვით, მფარველები დროზე არ ახორციელებენ, სრული რევიზია კი დღემდე არ მოწყობილა.

ზ. დ. შვანბა, მ. ხ. კოჩკონიანი, ა. ა. ცაჟბა, ბ. ს. ბელი მფარველებმა სასწრაფოდ (მას შემდეგ, რაც პოლონსკიმ დაამტკიცა განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებები), სასწრაფოდ გაათავისუფლეს 1977 წლის აგვისტოში „საკუთარი სურვილით", ხოლო ა. ვ. მიხაილოვა ასევე 1978 წლის დეკემბერში.

ამხ. ა. პოლონსკის სამუშაოზე არყოფნის (ავადმყოფობის გამო) პერიოდში მფარველებმა (მას შემდეგ, რაც რევიზიებმა დაადგინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებების ფაქტები) ზ. დ. შვანბა კვლავ მიიღეს 1978 წლის 17 ივლისს ხელმძღვანელ თანამდებობაზე იქვე კურორტ ბიჭვინთის პანსიონატების გაერთიანების ყველა ბარის, კაფესა და სავაჭრო კიოსკის გამგედ, ხოლო მ. ხ. კოჩკონიანი — სასურსათო საწყობის მეკუჭნავედ 1979 წლის 7 თებერვალს, სადაც ზ. დ. შვანბა და მ. ხ. კოჩკონიანი მუშაობენ და განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ:

ა) საქართველოს სსრ პროკურატურის 1979 წლის 5 ივლისის №05-125-79 წერილით ნათქვამია, რომ აფხაზეთის ასსრ პროკურატურამ გააუქმა დადგენილება 52518 მანეთი ღირებულების ტარის ამხანაგების ზ. დ. შვანბასა და სხვათა მიერ მატერიალური დატაცების სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, რაც დამტკიცებულია 1977 წლის აგვისტო-ნოემბრის რევიზიით, და მათ წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

კურორტ „ბიჭვინთის" პანსიონატების გაერთიანების დირექტორის ა. ა. ბასილაიას მიერ ბინის რემონტთან და ძეგლის მშენებლობასთან დაკავშირებული ბოროტმოქმედებათა ფაქტების გამო აგრეთვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და წარმოებს გამოძიება.

წამატებების (მშენებლობის ხაზით — 2,5 მილიონი მანეთი) და სოციალისტური საკუთრების დატაცებების ფაქტების გამო აფხაზეთის ასსრ პროკურატურის დავალებით საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ატარებს რევიზიას.

დადგენილია, რომ გაერთიანების მთავარი ბუღალტრის ა. პოლონსკის გარდა, ნამდვილად უკანონოდ საშტატო ერთეულის ხელოვნური შემცირების გზით ა. ა. ბასილაიას უკანონო დასკვნით სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ეკონომისტის თანამდებობიდან დაითხოვეს მისი მეუღლე ო. პ. პოლონსკაია მისთვის მინდობილი კურორტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს შტატიდან (ეს უპრეცედენტო უკანონობა ერთი წლის შემდეგ, 1979 წლის 10 მაისიდან გამეორდა, ა. ა. ბასილაიამ უფროსი ეკონომისტი ო. პ. პოლონსკაია კვლავ გაათავისუფლა ეკონომისტის თანამდებობის ყალბი შემცირების გზით).

ა. პოლონსკის საჩივრები საქართველოს სსრ პროკურატურამ კონტროლს დაუქვემდებარა.

ბ) ფინანსთა სამინისტროს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს 1979 წლის 22 ივნისის აქტით დადგინდა, რომ მოსაპირკეთებელი სამუშაოები ჩაუტარებიათ ა. ა. ბასილაიას ნათესავის საფლავზე, სადაც საფლავის კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა 19,46 კვადრატული მეტრი გრანიტი და 31,2 კვადრატული მეტრი მარმარილო.

ამავე საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს 1979 წლის 3 ივლისის რევიზიის აქტით, რომელსაც თავად ა. ა. ბასილაია აწერს ხელს, დადგენილია კულტურის სახლისა და სხვა ობიექტების მოსაპირკეთებელ სამუშაოთა მოცულობების მომატება, რის შედეგად დატაცებულია 26,14 კვადრატული მეტრი გრანიტი და 50,6 კვადრატული მეტრი მარმარილო.

გ) ამავე საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს 1979 წლის 10 სექტემბრის აქტით დადგენილია, რომ ზ. დ. შვანბამ და მისმა მეკუჭნავეებმა უფროსი ბუღალტრის ა. ვ. მიხაილოვას გაყალბებული ოპერაციების ხელშეწყობით მოახდინეს გაფლანგვა. ა. ვ. მიხაილოვა, თუმცა კურორტის მთავარმა ბუღალტერმა ა. პოლონსკიმ გააფრთხილა როგორც იგი, ისე ზ. დ. შვანბა, ყველა არსებული კანონდებულების დარღვევით, ადგენდა ყალბ ანგარიშებს სასურსათო საქონლისა და ტარის მოძრაობისა და ნაშთების შესახებ საწყობის გამგის ზ. დ. შვანბასა და მისი მეკუჭნავეების სახელით, რომლებსაც თითქოს თავადვე ამოწმებდა და, შესაბამისად, ამუშავებდნენ 21.830 მანეთის ტარასა და 1057 მანეთის სასმელებს (მაგრამ არა ჯეროვნად, არამედ დანაშაულებრივად).

საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს 1980 წლის 10 აპრილის აქტის ხელმეორე შემოწმებით დადგინდა, რომ გარდა ამისა ზ. დ. შვანბას დაუტაცებია 17316 მანეთის ტარა, ხოლო 1980 წლის 25 მარტის აქტით პერიოდის მხოლოდ ერთ მეშვიდედ ნაწილში დაუტაცებია 8648 მანეთის სასურსათო საქონელი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას"

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და მასში შემავალი რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელთა წინასწარგანზრახული, მავნებლური მოქმედების შედეგად, ინტენსიურად მოხდა შავი ზღვისპირა ზოლში ანგარებითი მიზნებით არაქართველი ეროვნების მოსახლეობის ჩასახლება.

1972 წლის ბოლოს, რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ შეიქმნა კომისია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიწათსარგებლობის კანონიერების შესასწავლად. მე დამევალა ქ. გაგრის ზონის შემმოწმებელი ქვეკომისიის ხელმძღვანელობა (იმჟამად, ვმუშაობდი სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსად).

შემოწმებით გამოვლინდა აღმაშფოთებელი დარღვევები. ასეული ფაქტი იმისა თუ უკანონოდ მიღებულ მიწებზე არაქართველი მოსახლეობა როგორ აშენებდა დაჩქარებული ტემპით სანატორიული ტიპის სახლებს.

ენვერ კაპბა, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ახალი გადაყვანილი, ანუ დაწინაურებული იყო კურორტ ბიჭვინთის მმართველის პოსტზე. მისი მუშაობის პერიოდში, მისი უშუალო ხელშეწყობით და წახალისებით მოხდა გაგრაში ქართული მიწების „გასაჩუქრება".

ამ ბოროტების სამხილად და შესაძლებლობის ფარგლებში ზუსტი სურათის დასადგენად, შემოწმებას 2 თვე და 10 დღე მოვანდომე (1973 წლის 5 იანვრიდან 15 მარტამდე). ამ ხნის განმავლობაში, სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, რამდენიმეჯერ გამომიძახა თბილისში და წინადადება მომცეს „დროზე" დამემთავრებინა, შემეწყვიტა შემოწმება. ამის მიუხედავად, შემოწმება მაინც ჩატარდა სრულყოფილად. მასალები ჩაბარდა ცენტრალურ კომიტეტს და რეაგირებაც მოჰყვა, მაგრამ როგორი?

გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობისას ენვერ კაპბამ, რომელიც ცხოვრობდა მოხუც დედასთან ერთად, ჩაიდინა სიყალბე. მისმა დედამ საქალაქო საბჭოს აღმასკომს სთხოვა საცხოვრებელი სახლის შეკეთება (ვინაიდან შავიზღვისპირა ზოლში ახალი სახლის აშენება კანონით იკრძალებოდა), რისი უფლებაც მიიღო თავისი შვილის მიერ. შვილმა კი — ენვერ კაპბამ, უნებართვოდ და უკანონოდ ააშენა ახალი ორსართულიანი სახლი. აქედან დასკვნა, სიყალბისა და უკანონობის ჩამდენი სხვას როგორ მოუწოდებდა წესრიგისაკენ და ამიტომაც დაინერგა და დაკანონდა მასობრივი უკანონო მშენებლობანი.

ენვერ კაპბასთვის ამ დანაშაულზე პასუხი არავის მოუთხოვია, პირიქით, დააწინაურეს პარტიულ სამუშაოზე. ბევრი კი, უფრო ნაკლები დარღვევებისათვის სათანადოდ დაისაჯნენ.

ასეთმა მფარველობამ გაათავხედა ენვერ კაპბა და წაახალისა ქართველი და აფხაზი ხალხისადმი ახალი ვერაგული ზრახვების შესასრულებლად.

ზაალ აბაზაძე,
საქართველოს რესპუბლიკის მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე.

სხვადასხვა

„ამირანდარეჯანიანი"—ფრანგულად

გამომცემლობა „რადუგამ" ფრანგულ ენაზე დასტამბა ძველი ქართული საერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ამირანდარეჯანიანი".

რომანი ქართულიდან ფრანგულად თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ, რედაქტორია საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი ქართველოლოგი ბერნარ უტიე.

ახალი თარგმანი შეიცავს „ამირანდარეჯანიანის" თორმეტივე კარს. ესენია: აბესალომ ჰინდოთ მეფისა ამბავი, ბადრი იამანისძის ამბავი, ნოსარ მისრელის ამბავი, ამირან დარეჯანისძის ამბავი, ამბრი არაბის ამბავი, ინდო ჰაბუკის ამბავი, მნათობთა ამბავი, თილისმათა ამბავი, სეფედავლე დარისპანისძის ამბავი, ამბავი მზისა ჭაბუკისა, სისხლთა ძებნისა ამბავი, ბალხეთს შესვლის ამბავი.

ბატონმა გასტონ ბუაჩიძემ ფრანგულად თარგმნა და გამოსცა აგრეთვე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა", ქართული ხალხური ზღაპრების კრებული „ნაცარქექია", ვაჟა-ფშაველას პოემების კრებული სათაურით „გველისმჭამელი", რომლებიც მკითხველმა გულთბილად მიიღო.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების—სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

ხელმძღვანელობს რა ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპებით, აგრეთვე მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და ორგანიზაციების მოთხოვნით იმის თაობაზე, რომ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა, როგორც დროებითი და იძულებითი ღონისძიება, არ იქნეს გამოყენებული ზოგიერთი დანაშაულისათვის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლით (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება), 89-ე მუხლით (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა), 96_1 მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება) და 189-ე მუხლით (ქრთამის აღება).

II. ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის კანონით 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილება:

1. 24-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაიშვება სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, რაც აღნიშნულია ამ კოდექსის მუხლებში, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით სპეციალურად გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში, — აგრეთვე ზოგიერთი სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის".

2. 88-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით".

3. 89-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან სიკვდილით, ქონების კონფისკაციით".

4. 96_1 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით".

189-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით, ქონების კონფისკაციით".

III. იმ განაჩენში, რომლითაც ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული დანაშაულისათვის დადგენილია სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა და ამ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე არ არის მოყვანილი სისრულეში, ზემდგომი სასამართლო სიკვდილით დასჯას შეცვლის თავისუფლების აღკვეთით თხუთმეტ წლამდე ვადით.

IV. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 20 მარტი.

საზღვარგარეთ

ქურთისტანი: შენელებული მოქმედების ნაღმი

ფრანგული გაზეთის „მონდის" ცნობით, აჯანყებულმა ქურთებმა ერაყის ჩრდილოეთში, ფაქტობრივად თავის კონტროლს დაუქვემდებარეს კირკუკის უმნიშვნელოვანესი ნავთობმომპოვებელი რაიონები. უკანასკნელი ცნობებით, მათ თვით კირკუკიც აიღეს: აჯანყებულებს უკავიათ კიფრის, ბაზიანის, ჰანჯარის, სულეიმანიისა და სხვა პუნქტები. ისინი აკონტროლებენ ერაყის ქურთისტანის ტერიტორიის თითქმის 90 პროცენტს, ქურთთა მხარეზე გადავიდა ერაყის რეგულარული არმიის 50 ათასამდე ქურთი ჯარისკაცი და სახალხო მილიციის 29 ბატალიონი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ქურთთა წინააღმდეგ კვლავ გამოიყენეს ქიმიური იარაღი. ქურთთა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, მაჰმუდ ოსმანმა დასავლეთის ქვეყნებს სამხედრო და ჰუმანიტარული დახმარება სთხოვა.

ახლა, როდესაც აღიკვეთა ერაყის მიერ ქუვეითის ანექსია და შეიქმნა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგების რეალური გზები, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მეთაურები და საერთაშორისო ორგანიზაციები, თვით გაეროს ჩათვლით 4 მილიონიანი პალესტინელი არაბი ხალხის პრობლემის გადაჭრას ლამობენ. ხოლო ქურთებს, რომლებიც უკვე საუკუნეებია დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ძალიან უკვირთ, რომ 25-მილიონიანი ხალხის სურვილი თავისუფლებისათვის უპასუხოდ რჩება.

ქურთი ხალხის ეთნოგენეზისი მიდიელ და უძველეს ირანულ ტომობრივ გაერთიანებებთან მიდის. მიდია პირველად, ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში იხსენიება. იგი თანამედროვე თეირანისა და ისპაჰანის რაიონებში მდებარეობდა. ქურთები ჯერ ასურელებმა დაიპყრეს, შემდეგ კი თავად ქურთებმა დაიპყრეს ასურეთი. ძვ. წ. 553 წელს აჯანყდა მიდიის შემადგენლობაში მყოფი სპარსეთი, კიროსის ხელმძღვანელობით, და ბოლო მოუღო მიდიის სახელმწიფოს. იგი უკანასკნელად აღდგა ე. წ. „მცირე მიდიის" სახელწოდებით ალექსანდრე მაკედონელის დროს ძვ. წ. IV საუკუნეში და კავკასიის ალბანეთს ემეზობლებოდა. ქურთი ხალხი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მიდიური ჩამომავლობისაა, ფეოდალურ დაქუცმაცებულ სამთავროებში ცხოვრობდა, რომლებშიც შუა საუკუნეებიდან დიდ როლს ასრულებდნენ შეიხები. ქურთებისათვის დამღუპველი აღმოჩნდა 1514 წელი, როდესაც ირანმა და ოსმალეთმა მათი მიწები გაიყო: პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ოსმალეთის დაშლის შედეგად ქურთები უკვე ოთხად აღმოჩნდნენ გაყოფილები: ირანში, თურქეთში, ერაყსა და სირიაში.

ქურთებმა, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში რაოდენობით მეოთხე ერია არაბების, თურქებისა და სპარსელების შემდეგ, ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს ერთიანი სახელმწიფოს შექმნა. ისტორიული ქურთისტანი 400 ათასი კვადრატული კმ-ია. აქედან, დაახლოებით ნახევარი თურქეთში შედის, 100 ათასი კი ირანში, ხოლო 75 ათასი — ერაყში, დანარჩენი — სირიაში. 12 მილიონამდე ქურთი თურქეთში ცხოვრობს, 5 მილიონამდე — ერაყში სირიაში 1,5 მილიონი კაცია, დანარჩენი ირანში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის დასავლეთ ევროპაში 300 ათასი ქურთია). ქურთისტანის მთავარი სიმდიდრე ნავთობი. მისი მთავარი საბადოებია კირკუკში, მოსულში (ერაყი), ნაფტეშახში (ირანი). ქურთისტანში არის ქრომის, სპილენძისა და რკინის მნიშვნელოვანი საბადოები.

ქურთთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის დიდი ხნის ისტორია აქვს. მათ თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის თითქმის ყველა ხერხი გამოიყენეს, დაწყებული მშვიდობიანი ფორმებით და დამთავრებული უსასტიკესი შეიარაღებული აჯანყებებით, წარმატება კი არა და არ ჩანს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, 12 მილიონამდე ქურთი ცხოვრობს, მათ შეინარჩუნეს ეროვნული თვითშეგნება, ენა, კულტურა, ტრადიციები. აგრის, ბინგიოლის, ბითლისის, დიარბაქირის, მარდანის, სიირტისა და სხვა ვილაიეთებში მცხოვრებ ქურთებთან საუბრისას, თურქეთის ოფიციალურ წარმომადგენლებს თარჯიმნები სჭირდებათ. თურქეთის ქურთთა უმრავლესობა სოფლებში ცხოვრობს. ანტიქურთული პოლიტიკის შედეგად ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში ქურთების უამრავი აჯანყება მოხდა თურქეთში, იგივე ხდებოდა 60-70 წლებში და ასე უკანასკნელ პერიოდამდე. თურქეთში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესმა შექმნა საშუალება, რომ ქურთულ ენაზე გამოსულიყო რამდენიმე გამოცემა — „როჟა ველიათი", „რიზარი", „დევრიმჯი დემოკრატგენჯლიკი" და სხვ. ამჟამად, თურქეთის მეჯლისის 450 დეპუტატიდან, დაახლოებით 150 ქურთია. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის საზოგადოებაში დემოკრატიზაციის პროცესმა იმძლავრა, ლოზუნგი „თურქეთი — თურქეთისთვის" ძალაში რჩება. მას ქვეყნის საზოგადოებაც აჰყვა. ცნობილი თურქი მწერალი, აზიზ ნესინი, რომელიც თავის დროზე დემოკრატიული აზროვნებისთვის იდევნებოდა, აღნიშნავს: „ქურთებმა უნდა მიიღონ კულტურული თვითგამორკვევა, მაგრამ ლაპარაკიც კი ზედმეტია, ქურთთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზეო".

დღეს, თურქეთში ქურთთა პერსპექტივები ჩიხშია მოქცეული, ასევეა ირანშიც. ჰომეინის პერიოდში ირანის ქურთისტანის მრავალმა ორგანიზაციამ აიათოლა ჰომეინს დაუჭირა მხარი. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ახალი ხელმძღვანელობა მათ ავტონომიის მოპოვებაში დაეხმარებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამიტომ მათ კვლავ შეიარაღებული ბრძოლა განაგრძეს. 1979 წელს, ქურთებმა ქალაქი მეხაბადი დაიკავეს და ირანის ხელისუფლება იძულებული შეიქმნა ქურთთა ავტონომიის პროექტის შემუშავება დაეწყო, თუმცა საქმე უფრო წინ ვერ წავიდა. სამხედრო მოქმედება ირანელებსა და ქურთებს შორის გრძელდება, თუმცა მის მასშტაბებზე ძნელია ლაპარაკი ირანის ცენზურის გამო. შარშან, „ასოშიეიტედ პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში, ქურთ აჯანყებულთა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გაფურა ჰამზაიამ აღნიშნა, რომ მათ რამდენიმე ირანელი სამხედრო მოსამსახურე ტყვედ იგდეს.

არავინ იცის, კიდევ რამდენი წელი დასჭირდებათ ირანის ქურთებს თავისუფლების მოსაპოვებლად.

ასეთივე გამუდმებული ბრძოლები მიმდინარეობდა ერაყში. მიმომხილველთა აზრით, 60-იან წლებში, ქურთები ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. ამ დროს, ქურთებს ხელმძღვანელობდა ნიჭიერი ორგანიზატორი და შესანიშნავი სარდალი მასუდ ბარზანი. პირველი ქურთული რესპუბლიკა ფაქტობრივად მან შექმნა ერაყში. ბევრი თვლის, რომ ბარზანმა შეცდომა დაუშვა, როდესაც ერაყის მმართველ ბაასის პარტიასთან მოლაპარაკებას დათანხმდა. 1974 წლის მარტში, ერაყში გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც ცხადდებოდა ერაყის ქურთისტანის ავტონომია, რომელიც დღემდე არ არის გაუქმებული. როდესაც ბაასმა პოზიციები გაიმაგრა, შეტევაზე გადავიდა. 1988 წლის მარტში, ერაყის შეტევამ ქურთებზე გენოციდური ფორმები მიიღო. ჰუსეინმა ქიმიური იარაღი გამოიყენა, რის შედეგადაც 5 ათასი კაცი დაიღუპა, განადგურდა 3 ათასი სოფელი. დასავლეთმა ამის გამო ერაყს ეკონომიკური სანქციები დაუწესა, რომელსაც მოსკოვი არ აჰყვა. უფრო მეტიც, ერაყის ქიმიური იარაღი, საბჭოთა სპეციალისტების მიერ იყო შექმნილი, რომლებიც ამ დროს მრავლად იყვნენ ერაყში. მოსკოვს, საერთოდ არ აძლევს ხელს ქურთისტანის გაერთიანება, რადგან არ სურს არაბებთან ურთიერთობის გაუარესება. ნავთობისა და საკუთარი იმპერიული ინტერესების გამო ქურთების გაერთიანება ხელს არ აძლევს არც ირანს, თურქეთს, ერაყსა და სირიას, რადგან ერთიანი ქურთისტანის შექმნის შემთხვევაში, ახლო აღმოსავლეთში ძალთა ახალი ბალანსი შეიქმნება. ამიტომ ამერიკელებიც ქურთებთან ურთიერთობაში ფრთხილად იქცევიან.

60-იანი წლების დამდეგს ისრაელელმა სამხედროებმა, ერაყის დაშლის გეგმა შეიმუშავეს. მის ჩრდილოეთში უნდა შექმნილიყო ქურთთა სახელმწიფო, შუაში — სუნიტური ერაყი და სამხრეთში შიიტური სახელმწიფო. ისრაელი, აანალიზებს რა პალესტინელ არაბთა პრეტენზიებს, ხშირად აღნიშნავს, რომ პალესტინელები არაბები არიან და მათ შეუძლიათ იცხოვრონ ოცამდე სხვადასხვა არაბულ სახელმწიფოში, ქურთებს კი არაბები ერთ სახელმწიფოსაც კი არ აძლევენ, რაც აშკარა უსამართლობააო.

ცხოვრების მძიმე პირობების გამო უამრავი ქურთი დასავლეთში მიდის საშოვარზე. ამავე დროს, ევროპაში ყოფნა ხელს უწყობს ქურთთა ეროვნული თვითშეგნების ზრდას. აქ შეიქმნა მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ბახოზ" „პალიე" (შვედეთში) „ხევრა" „ბროუსკი" (ბელგიაში), „კომკარი" (გერმანიაში), გამოდის მრავალი ქურთული ჟურნალ-გაზეთი.

ქურთები, რომლებიც თავიანთ უძველეს რელიგიას მისდევენ, იეზიდებად იწოდებიან. იეზიდები მზის თაყვანისმცემლები არიან, ამავე დროს არ უარყოფენ არც ერთ სხვა რელიგიას, რომელიც მათთვის მისაღებია. იეზიდთა მთავარი სამლოცველოა ერაყში, ქალაქ მოსულთან, ლალაშის მთაზე, სადაც მათი საკულტო ნაგებობაა. სულიერი ლიდერი კი შეიხი ტალაბანია (ერაყი). ის ქურთები, რომლებმაც მუსლიმანობა მიიღეს, საკუთრივ ქურთებად იწოდებიან, იყოფიან ორ ჯგუფად — სუნიტებად და შიიტებად, ერაყის ქურთები ძირითადად სუნიტები არიან, მათ შორის იეზიდი ცოტაა. ირანის ქურთები მეტწილად შიიტები არიან, სირიაში— სუნიტები. ასევეა თურქეთში, თბილისელი ქურთები უმეტესად იეზიდები არიან.

საქართველოში ქურთების რაოდენობა 40 ათასამდეა და უმთავრესად თბილისში ცხოვრობენ. 100-მდე ოჯახი თელავშია და 30-მდე —ბათუმში. ქურთთა მცირე ნაწილი, საქართველოში ჯერ კიდევ XII საუკუნეში შემოვიდა და მთლიანად გაქართველდნენ. დღევანდელი ქურთები საქართველოში შემდეგნაირად მოხვდნენ. 1918 წელს, თურქეთში სომეხთა გენოციდის შემდეგ ქურთები, რომლებსაც ასევე ერჩოდნენ, გადმოსახლდნენ სომხეთში (ამჟამად აქ 40 ათასამდე ქურთია), შემდეგ კი საქართველოში გადმოვიდნენ. ქურთებს ადრე გვარები არ ჰქონდათ, არც ახლა აქვთ. ახალ ადგილებში მამის სახელის მიხედვით შეექმნათ გვარები, ამიტომ გასაგები ხდება, თუ რატომ აქვთ საქართველოს ქურთებს სომხური გვარები.

თუ როგორ ცხოვრობენ ქურთები საქართველოში, ეს თავად უკეთ იციან, ჩვენ კი დავსძენთ, რომ თბილისში რუსთაველის საზოგადოებასთან არსებობს ქურთთა ასოციაცია „რონაი" (სინათლე), რომელიც დიდ საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა. ამავე დროს, თბილისშია ქურთთა ერთადერთი თეატრი მსოფლიოში.

ქურთთა განმათავისუფლებელ ბრძოლას დიდი სირთულეები ახლავს, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. მასში გამოკვეთილია ორი მიმდინარეობა, ბრძოლის პარლამენტური ფორმა და შეურიგებელი შეიარაღებული აჯანყება. ქურთთა სიმრავლისა და მებრძოლი ბუნების გამო, ამჟამად მეორე ფორმა ჭარბობს.

ქურთთა პრობლემას კიდევ ერთი ასპექტი აქვს — რეგიონალური. პერიოდულად მძაფრდება ურთიერთობა ირანს, თურქეთს, ერაყსა და სირიას შორის ქურთთა გამო, ამიტომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემა ვერასოდეს მოწესრიგდება, ვერასოდეს დაწყნარდება ეს რეგიონი, თუ არ გადაიჭრა მისი მთავარი საკითხი — „ქურთთა პრობლემა", რომელიც ჭეშმარიტად ახლო აღმოსავლეთის „შენელებული მოქმედების ნაღმია".



ზურაბ სიხარულიძე.

• • •

სურათებზე: ქურთი პატრიოტები ებრძვიან ჰუსეინის ჯარებს; რუკაზე: დაყოფილი ქურთისტანი.

სენატორთა მოწოდება

ამერიკელმა სენატორებმა წამოაყენეს წინადადებები, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებში ჩამოყალიბდეს შეერთებული შტატების ოფიციალური ორგანიზაციები. მათ მოუწოდეს, რომ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში დაინიშნონ სავაჭრო წარმომადგენლები და თეთრმა სახლმა დანიშნოს საგანგებო დესპანი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკების წასახალისებლად და სამივე რესპუბლიკისათვის დახმარების გასაწევად. სენატორებმა თქვეს, რომ შეერთებული შტატებისათვის დადგა დრო კონკრეტული ნაბიჯის გადადგმისა, რათა მან შეასრულოს თავისი ზნეობრივი მოვალეობა ბალტიისპირეთის ქვეყნების სამართლიან ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის.

ციმბირში ჩასვლას აპირებს

ქართველმა კინოოპერატორმა თემურ ბაქრაძემ „ამერიკის ხმისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მან ამერიკაში ჩაიტანა რამდენიმე სურათი — „გამოღვიძება", რომელიც ჩვენს ეროვნულ მოძრაობას ეხება, „ეკოლოგიური ომი" და კიდევ რამდენიმე ფილმი, რომლებიც ამერიკელ კონგრესმენებს და კიდევ სხვა ორგანიზაციებს უნდა უჩვენონ. მომავალში, აღნიშნა კინოოპერატორმა, ჩვენი ჯგუფი აპირებს ციმბირში ჩასვლას და საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას პატიმრობის ადგილების გადაღებას.

ქისტები სიმართლეს ეძებენ

„ინტერფაქსის" საინფორმაციო სააგენტო ვლადიკავკაზიდან იუწყება, რომ ინგუშებმა (ქისტებმა) დაიწყეს იმ სახლების უკან დაბრუნება, რომლებიც 1944 წლამდე ანუ დეპორტაციამდე მათ ეკუთვნოდათ. გადმოსცემენ, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობა აპირებს სადავო ტერიტორიის უკან დაბრუნებას. ამის გამო ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები საბრძოლოდ არის გამზადებული.

შეგახსენებთ, რომ ვლადიკავკაზის ქალაქგარე რაიონი 1944 წლამდე ჩეჩნეთ-ინგუშეთს ეკუთვნოდა და მათ შორის საზღვარი ქალაქ ორჯონიკიძის (დღევანდელი ვლადიკავკაზი) გარეთ გადიოდა. გაუქმებული ჩეჩნეთ-ინგუშეთი გროზნოს ოლქად გადაკეთდა, ხოლო ე. წ. ქალაქგარე ტერიტორია ჩრდილოეთ ოსეთს გადაეცა. როდესაც ავტონომიური რესპუბლიკა აღადგინეს დარგიელებმა, ლეკებმა და ქართველებმა შუა აზიიდან უკან დაბრუნებულ ინგუშებს და ჩეჩნებს იმპერიისგან ბოძებული მიწები უკან დაუბრუნეს, მხოლოდ ოსები გაჯიუტდნენ. ამ ნიადაგზე მომხდარ უსასტიკეს შეტაკებათა შედეგად დაღუპულთა რიცხვი არავინ იცის.

ინგუშებს და ოსებს შორის დავას ართულებს შემდეგი გარემოებაც. 1944 წლიდან ყოფილი ორჯონიკიძე გაიზარდა, ახალი საცხოვრებელი რაიონები აშენდა. ძველი საზღვრის აღდგენა გამოიწვევდა ქალაქ ორჯონიკიძის გაყოფას. ქისტები თანახმანი არიან ახალი საზღვარი კვლავ ქალაქგარეთ გავიდეს. ოსები ამაზეც უარს ამბობენ. ქისტი ლიდერის ისა კოძოევის აზრით, ოსებში არსებული „ანექსიური ბაცილა" მოლაპარაკებას უშედეგოს ხდის, რადგან ოსთა ხელმძღვანელები ამტკიცებენ, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა ქისტთა მიწებზე უნდა იცხოვრონო.

დღეს ქისტების რიცხვი 350 ათასია. კიდევ 150 ათასი შუა აზიაშია. ჩრდილოელი ოსების რიცხვი 250 ათასია, კიდევ 180 ათასამდე მის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, უმთავრესად საქართველოში. დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ვლადიკავკაზის სადავო ქალაქგარეთა რაიონში მრავალი ქართველი ცხოვრობს. კერძოდ, მარტო ზემო კამბილოვკაში და მის გარშემო 100-მდე ქართული ოჯახია. მათ, რა თქმა უნდა, ხელი უნდა შევუწყოთ, რათა ეს ტერიტორია მიატოვონ.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

მოგზაურობა საზღვარგარეთ: გაიოლდა თუ გართულდა?

ეს ტკბილი სიტყვა თავისუფლება გულისხმობს აგრეთვე თითოეულის უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ იმოგზაუროს ქვეყნად. ჩვენ პრინციპში მივიღეთ ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია მისი გამოყენება შეუფერხებლივ. თუმცა აქ სიტუაცია თითქმის ყოველდღიურად იცვლება, და ამიტომ ადამიანებს — ზედმეტი დავიდარაბისა და ნერვების აშლის თავიდან ასაცილებლად გამუდმებით სჭირდება ახალი ინფორმაცია. ბოლო ახალი ამბები სიამოვნებით გაგვიზიარა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიზების რეგისტრაციისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილების უფროსმა **გივი ინჯიამ.**

— ბატონო გივი, უწინარეს ყოვლისა, გვინდოდა გაგვეგო, თუ რისი გაკეთება მოასწარით იმ ორი თვის მანძილზე, რაც ამ თანამდებობაზე ხართ?

— იმედი მაქვს, საკმაოდ ღრმად ჩავწვდი არსებული პრობლემების არსს და პირველი ნაბიჯები გადავდგა იმისათვის, რომ თანამემამულეებს უკეთესი პრაქტიკული პირობები შევუქმნათ საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის. რაც შეეხება საკანონმდებლო პირობებს, აქაც მოსალოდნელია პროცედურის გამარტივება, კერძოდ, ამჟამად სავალდებულო მიწვევათა გაუქმება, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უზენაესი საბჭო მიიღებს კანონს რესპუბლიკიდან გასვლისა და შემოსვლის შესახებ.

— როცა პრობლემებზე ლაპარაკობთ, რა გაქვთ მხედველობაში: დროებითი გამგზავრება თუ სამუდამოდ საცხოვრებლად წასვლა?

— საქართველოდან სამუდამოდ წასულ ადამიანთა რიცხვმა შარშან 5588-ს მიაღწია, რაც ერთიორად მეტია იმაზე, რაც ერთი წლის წინათ იყო. ასეთი ინტენსივობის ნაკადს თავისუფლად ვართმევთ თავს. სიძნელეები წარმოიქმნება კერძო მიწვევით ან ტურისტული კრუიზით გამგზავრების მსურველებთან დაკავშირებით. მრავალ მათგანს, სამწუხაროდ, დიდი საზრუნავი უჩნდება საზღვარგარეთის პასპორტების გამო. უნდა ითქვას, რომ შარშან ჩვენი ოთხმოციათასიანი განაცხადი ამ დოკუმენტებზე, გადაჭარბებით დააკმაყოფილეს. რესპუბლიკის მცხოვრებლებს მივეცით დაახლოებით 230 ათასი პასპორტი. მაგრამ საზღვარგარეთ გამგზავრების 120 ათასი მსურველის წინაშე (აფხაზეთისა და აჭარის მცხოვრებთა ჩაუთვლელად) ჩვენ თითქოს ვალში ვრჩებით. ამჟამად შეკვეთილია მეოთხედი მილიონი პასპორტი. მაგრამ მოსკოვი თავს ვერ ართმევს შეკვეთას. ამას ასაბუთებენ იმით, რომ სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელ ფაბრიკას არ ყოფნის იმპორტული ქაღალდი, რომელსაც იყენებენ პასპორტების დამზადებისათვის. თუმცა მივიღეთ დამაიმედებელი ცნობა, რომ გამონახეს ამ მიზნებისათვის თავიანთი ქაღალდის გამოყენების ხერხი. ახალი ნიმუშის პასპორტებს საქართველოში ამ გაზაფხულზე გამოგზავნიან.

— მანამდე კი...

— ...გამგზავრების მსურველებს მოუწევთ მოთმინებით აღიჭურვონ, რადგან დროებით შეჩერებულია პასპორტების გაცემა თურქეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში გასამგზავრებლად.

— რატომ მაინცა და მაინც ამ ქვეყნებში?

— ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მთავრობებმა უარი თქვეს ჩვენი მოქალაქეების მიღებაზე საბჭოთა პასპორტში ჩაკრული სადებით. მაშასადამე, კვლავ ვაწყდებით დოკუმენტების დეფიციტს. დოკუმენტებით არ შეგვიძლია უზრუნველვყოთ თურქეთში მოგზაურობის მსურველებიც, რადგან საბუთების რაოდენობა მინიმალურია. ახლა შეადარეთ: იქ სამოგზაუროდ ფორმდება თითქმის 170 ათასი კაცი, როცა მეორე ადგილზე მყოფ საბერძნეთში — სულ ცამეტი ათასი. დაგვეთანხმეთ, არ იქნება სამართლიანი შევაფერხოთ ასეთი მცირე რაოდენობის ადამიანები მხოლოდ „თურქეთის მიმართულების“ საამებლად. ამიტომ საზღვარგარეთის პასპორტს ვაძლევთ სხვა ქვეყნებში წასვლის ყველა მსურველს.

— ალბათ, ვიზების რეგისტრაციისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილებამ გააანალიზა სიტუაცია. თქვენი პროგნოზით, დიდხანს გასტანს თურქეთის „ბუმი“?

— ალბათ, არა. განვმარტავ ჩემს თვალსაზრისს. შარშანდლიდან განვიხილავთ საბუთებს თურქეთში, საბერძნეთში, ავსტრიასა და სინგაპურში მოგზაურობისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწვევა დათარიღებულია 15 ნოემბრამდე. თუ ეს უფრო გვიან მოხდა, იგი უსათუოდ უნდა იყოს დამოწმებული საზღვარგარეთ სსრ კავშირის შესაბამის საკონსულო დაწესებულებებში. ჰოდა, თურქეთში ამ მომსახურების საფასური სახელმწიფო ბაჟის, სატრანსპორტო ხარჯების ჩათვლით ორმოც დოლარს აღწევს, დანარჩენ ქვეყნებში კი იგი მნიშვნელოვნად იაფია.

მინდა გავაფრთხილო შემოვლითი გზების მოყვარულები: ნუ ეცდებით იშოვოთ ხელმეორედ გასამგზავრებლად ყალბი ვიზები და პასპორტებში ჩაკრული ბეჭდები (რომლებიც საჭიროა ვალუტის შესაძენად). ეს ხრიკები კარგად ვიცით როგორც ჩვენ, ისე მებაჟეებმა და მესაზღვრეებმა, ამაოდ ნუ დახარჯავთ ფულს, რითაც მხოლოდ საქმოსნებს გაამდიდრებთ.

— თქვენს გაფრთხილებას ადასტურებს მონაცემებიც, რომლებიც ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის სარდლობამ მოგვაწოდა. იგი შეშფოთებულია იმით, რომ გახშირდა რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ცდა „სარფის“ გასაშვებ პუნქტში სხვისი და ყალბი საბუთებით. 1990 წლის 14 დეკემბრიდან მიმდინარე წლის 11 თებერვლამდე განვლილ პერიოდში დაკავებულია 51 კაცი, მათ შორის 41 — საბუთებით, რომლებიც დამოწმებული იყო, ქალაქების თბილისისა და ბათუმის ვიზების რეგისტრაციის და საპასპორტო მუშაობის განყოფილებების ყალბი ბეჭდებით. გარდა ამისა, ფართოვდება დაკავების ადგილების გეოგრაფია. იანვარში, მაგალითად, რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს ჩოპის საკონტროლო-გასაშვებ პუნქტთან უნგრეთში გამგზავრების ცდისას. ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი პლეშკო სთავაზობს საქართველოს მთავრობას სამართალდამცველი ორგანოების მოქმედების კოორდინირებასა და გააქტიურებას, რათა რაც შეიძლება სწრაფად აღკვეთონ დოკუმენტების გამყალბებელ პირთა დანაშაულებრივი საქმიანობა.

— ბუნებრივია, ეს საჭიროა. სხვათა შორის, დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონში უკვე დააკავეს ამ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირები.

— ვიზების რეგისტრაციისა და საპასპორტო მუშაობის სამსახურს სჭირდებოდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, რათა განეტვირთა შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიზების რეგისტრაციის და საპასპორტო მუშაობის განყოფილება მისთვის უჩვეულო ფუნქციებისაგან. ეს იდეა ხომ არ „დასამარებულა“?

— პირიქით, შეიქმნა ვიზების რეგისტრაციისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილებები თბილისისა და ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოებთან. ეს უკანასკნელი განკუთვნილია დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მომსახურებისათვის. თავდაპირველად ეს ქვეგანაყოფები ხელს მოჰკიდებენ თურქეთში გასამგზავრებელი დოკუმენტების გაფორმებას. ჩვენ გვრჩება მესხეთ-ჯავახეთი, ქართლი და კახეთი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მალე იქაც გაიხსნება განყოფილებები, რაც საშუალებას მოგვცემს მთელი ყურადღება მივაპყროთ საკონტროლო-მეთოდიკურ მუშაობას.

— როგორ არის დიდი ხნის ოცნების — საბუთების გაფორმების პროცესის კომპიუტერიზაციის საქმე?

— კომპიუტერი ამოქმედდა, ბაზაში შეგვაქვს ყველა მონაცემი გამგზავრებულთა შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს ხელი შევუშალოთ სხვადასხვა ხრიკს. მაგალითად, ცნობილია, რომ ერთი პასპორტით ადამიანს უფლება აქვს რამდენჯერაც სურს იმდენჯერ იმოგზაუროს ხუთი წლის განმავლობაში, თუმცა მას ვალუტა წელიწადში ერთხელ ეძლევა. ზოგიერთი მოქალაქე ცდილობს გაიჩინოს რამდენიმე პასპორტი. აქამდე ჩვენ მხოლოდ კალმისტრითა და ქაღალდით ვიყავით შეიარაღებული, ყოველთვის არ შეგვეძლო აღგვეკვეთა კანონსაწინააღმდეგო ცდები. ახლა უკვე პირველი შედეგები გვაქვს. კიდევ ამასთან დაკავშირებით მსურს შეგახსენოთ, რომ დაკარგული საზღვარგარეთის პასპორტის აღდგენა ხდება საერთო რიგის წესით.

გაირკვევა ამასთან დაკავშირებით სიტუაციაც, ვინც აფორმებს პასპორტებს ოჯახის ყველა წევრზე, მაგრამ რეგულარულად მარტო მოგზაურობს. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ბანკის მონაცემებით შარშან საზღვარგარეთ დროებით წამსვლელებს მისცეს 61,8 მილიონი დოლარი, თანაც 52,5 მილიონი — თურქეთში გამგზავრების მსურველებს. ამავე დროს, იქ გაფორმებული 180 ათასი კაციდან საზღვარი გადაკვეთა მხოლოდ 104 ათასმა. განა ეს შემთხვევითია? და აი ჩვენ შევიტანთ წვლილს რესპუბლიკაში ვალუტის ხარჯვის რეჟიმის ოპტიმიზაციაში.

— და მაინც, კომპიუტერი კომპიუტერია, მაგრამ სამსახურის ავტორიტეტს განსაზღვრავენ მისი მუშაკები.

— ჯერ ერთი, საკომპიუტერო კონტროლი ვრცელდება თანაბრად თვით მუშაკებზეც. ყველა მუშაობს თავისი მიმართულებით — თურქეთი, საბერძნეთი და ა. შ. და აქვს დანომრილი პასპორტების მკაცრად საანგარიშგებო რაოდენობა, რასაც ელექტრონიკა აკონტროლებს. ასეთი სისტემის დროს ნიადაგი ეცლება ბოროტმოქმედებას. თანაც, ჩვენი კოლექტივი 90 პროცენტით განახლდა. ვფიქრობ, რომ შეგვიძლია დავიბრუნოთ შერყეული ნდობა.

— როგორც ვხედავ, დანარჩენში ვიზების რეგისტრაციისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ჯერჯერობით არ განუცდია არსებითი ცვლილებები.

— სამწუხაროდ, არა გვაქვს სახსრები. განვიცდით ორგტექნიკის უკმარისობას, სივიწროვეს... ერთი სიტყვით, სიძნელეები საკმარისად გვაქვს. მათი დაძლევის წინადადებები შევიტანეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში. ველით და იმედი გვაქვს, რომ დააკმაყოფილებენ სამსახურის საჭიროებებს, რომელმაც ხაზინას ერთ წელიწადში 45 მილიონ მანეთზე მეტი შეჰმატა.

საუბარს უძღვებოდა
ვლადიმერ იარალოვი,
საქინფორმის კორ.

საკუთარ სახლში

მიმართვა საქართველოს ყველა მოქალაქისადმი

ტელევიზიით თუ რადიოთი არაერთხელ მოგვისმენია განცხადება, მძიმე ავადმყოფს ესაჭიროება ესა და ეს წამალი, თუ ვინმეს გაქვთ, დარეკეთ ამა და ამ ნომერზე!...

ძნელად საშოვნელ პრეპარატთა შორის არის ისეთებიც, რომელთა წარმოება საქართველოშიც შესაძლებელია, მაგრამ მასალის უქონლობის გამო ხელფეხი გვაქვს შებორკილი. თუმცა ეს მასალა თითოეული ჯანმრთელი ადამიანის ძარღვებში ჩქეფს და ეს — სისხლია!

სხვადასხვა გასაჭირთან ერთად საქართველოში ისე, როგორც არასდროს, თავი იჩინა დონორთა ნაკლებობამ. ჩვენს რესპუბლიკას წელიწადში ასი ათასი ლიტრი სისხლი ესაჭიროება.

საქართველომ მრავალ გასაჭირს გაუძლო, კიდევ მრავალი აღმართი გვაქვს ასავლელი. ამ ძნელბედობის ჟამს სისხლს და მისგან დამზადებულ პრეპარატებს მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია. ამიტომაც საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაცია ცდილობს დაეხმაროს რესპუბლიკას ამ პრობლემის გადაჭრაში და მოგიწოდებთ გაიღოთ სისხლი ჩვენი დების, ძმების, დედების, მამებისა თუ შვილების სიცოცხლის უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკის სისხლის გადასხმის დაწესებულებებში თქვენ გელიან ერთჯერადი ხმარების სისტემით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მიმართეთ შემდეგ მისამართებზე:

ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №23 (ა), სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური, ტელ: 31-90-01.

უზნაძის ქ. №45, სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური, ტელ: 95-42-64.

სისხლის გადასხმის სადგურები:

ქ. გორში: მახარაძის ქ. 64, ტელ: 2-39-87.

ქ. ქუთაისში; ტელმანის ქ. 15, ტელ: 5-29-78.

ქ. სოხუმში; ძერჟინსკის ქ. 27, ტელ: 4-96-50.

ქ. ბათუმში; პუშკინის ქ. № 162, ტელ: 3-61-89.

ქ. სამტრედიაში: კოსტავას ქ. №75, ტელ: 2-14-45.

ქ. რუსთავში: გოგებაშვილის ქ. №14, ტელ: 12-34-32.

აგრეთვე შეგიძლიათ მიმართოთ სისხლის გადასხმის განყოფილებებს:

ქ. თბილისში ორთოპედიის, ჰემატოლოგიის, ქირურგიის, გინეკოლოგიის ინსტიტუტებში, ონკოცენტრში, რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში, დამწვრობის ცენტრში, თბილისის №2, 5, 7, 8 საავადმყოფოებში №2, 3, 4 სამშობიარო სახლებში, ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ქ. ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

შემდეგი ქალაქების საქალაქო საავადმყოფოებში: ჭიათურა, აბაშა, ახალქალაქი, ახალციხე, ახმეტა, ნინოწმინდა, ბოლნისი, ბორჯომი, გურჯაანი, კასპი, ზესტაფონი, ზუგდიდი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ბაღდათი, მცხეთა, საგარეჯო, საჩხერე, სენაკი, სიღნაღი, თელავი, თერჯოლა, თეთრი წყარო, ქარელი, ხაშური, ხობი, ხონი, ხარაგაული, წალკა, წალენჯიხა, დედოფლისწყარო, ჩხოროწყუ, მარტვილი, ყვარელი, ტყიბული, ფოთი, წყალტუბო.

საქინფორმი.

„დამკვიდრება“ მშობლიურ საჩხერეთლოში

გასული წლის ოქტომბერში ქალაქ საჩხერეში მოეწყო ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა მხატვრის სოსო წერეთლის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. ეს მისი მეორე გამოფენა იყო (პირველი ჩატარდა თბილისში 1990 წლის აპრილში მხატვრის სახლში). საჩხერის რაიონის მოსახლეობამ დიდი ინტერესითა და პატივისცემით მიიღო ეს გამოფენა. მასზე საჩხერის სამხატვრო სკოლის კოლექტივმა დასვა საკითხი ამ სკოლისათვის სოსო წერეთლის სახელის მინიჭების შესახებ, რასაც გამოფენაზე დამსწრე საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდა.

ამ დღეებში საჩხერიდან მოვიდა ცნობა, რომ საჩხერის სამხატვრო სკოლას სოსო წერეთლის სახელი მიეკუთვნა და ამიერიდან ამ სკოლის ოფიციალური სახელწოდებაა: „სოსო წერეთლის სახელობის საჩხერის სამხატვრო სკოლა“.

პლასტუნკაში ქართული გული ფეთქავს

ქუთაისი, (საქინფორმის კორ. მაკა კილაძე). იმერულმა კილოკავმა და ენამოსწრებულმა სიტყვამ რამდენიმე ხნით ჭეშმარიტად ქართული ელფერი შესძინა სოფელ პლასტუნკას. სოჭის ამ მხარეში დასახლებულ თანამემამულეთა მოსანახულებლად აქ ჩამოვიდა საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის“ დელეგაცია. ქუთათურებმა აქაურ ბავშვებს ჩამოუტანეს ქართული ლიტერატურა, ქუთაისელი მხატვრების ფერწერული ტილოები, პლასტუნკის სკოლაში გამართეს კონცერტი — ქართული ფოლკლორის მშვენიერი საღამო.

— ჩვენ უაღრესად მადლიერი ვართ მხარდამჭერისა და თანადგომისათვის, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სოჭში ქართული სათვისტომოსა და კულტურულ ცენტრ „ივერიას“ თავკაცმა ედიშერ ჩქოტუამ. — ეს ვიზიტი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, როცა საქართველოს ზოგიერთ განაპირა რაიონებში თავი წამოყვეს ცენტრის მიერ შეგულიანებულმა სეპარატისტებმა. აქაურ ქართველობას, თუკი მას სათანადო მხარდამჭერაც ექნება დედასამშობლოდან, ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. და აქ არა მარტო მეგობრულ კონტაქტებსა და ქართული სათვისტომოს სულ უფრო მზარდ ავტორიტეტს ვგულისხმობ, არამედ მხედველობაში მაქვს ეკონომიკური კავშირები და კომერციული საქმიანობა, რაც ესოდენ წაადგებოდა ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას. ვცდილობთ პლასტუნკაში იჯარით ავიღოთ ჯერ ისევ რეზერვად არსებული მიწის ნაკვეთი და იქ ქართული ეთნოგრაფიული სოფელი მოვაწყოთ. არის იმის საფუძველი, რომ იგი შემდგომში შევა საერთაშორისო ტურისტულ მარშრუტებში. თუკი საქართველო იკისრებდა დაფინანსებას, სავსებით რეალურია სოჭის ცენტრალურ ნაწილში უმაღლესი კლასის სასტუმროს აგებაც. უკვე ამ ეტაპზე შეგვიძლია გავხსნათ საქართველოს მთელი რიგი საწარმოების საფირმო მაღაზიები. ეს, რა თქმა უნდა, ქართული ნაწარმის რეკლამის გარდა, დიდად წაადგებოდა სოჭში მცხოვრებ 5 ათასამდე ქართველს, რომლებიც მოკლებული არიან ქართულ გარემოს.

სასიამოვნოა, რომ ქუთაისელ ელექტრომანქანათმშენებლებთან მოლაპარაკების შემდეგ რეალურად გამოიკვეთა პლასტუნკაში მათი მაღაზიის გახსნის საკითხი, სადაც ქუთაისური მარკის ფართო მოხმარების საქონელი გაიყიდება. ვსარგებლობ შემთხვევით და ერთი თხოვნა მინდა შევბედო ქართველ საზოგადოებრიობას: ეგებ ვინმეს ეკისრა ქართული ენის თვითმასწავლებლისა და რუსულ-ქართული ლექსიკონის მოწოდება. ქართული ენის შესწავლის მსურველ სხვა ეროვნების წარმომადგენელზე რომ არაფერი ვთქვათ, სახელმძღვანელოები არა გვაქვს იმ ქართველებისთვისაც, რომელთაც, სამწუხაროდ, არ იციან მშობლიური ენა.

სპორტი

გაემგზავრება თუ არა ეროვნული ნაკრები მსოფლიო პირველობაზე?

მსოფლიო პირველობაზე მიწვევა მიიღო საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ასოციაციამ. ოფიციალურ წერილში, რომელიც საერთაშორისო ასოციაციამ გამოგზავნა, ნათქვამია, რომ მსოფლიო პირველობა ამ თანამედროვე სტილის კარატეში გაიმართება მიმდინარე წლის სექტემბერში მეხიკოს დედაქალაქში.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ასოციაციის პრეზიდენტს ზურაბ ლეჟავას განემარტა ეს ცნობა.

— წლევანდელი პირველობა მეოთხეა შოტოკან კარატე-დოს საერთაშორისო ასოციაციის ისტორიაში, იგი იმართება ორ წელიწადში ერთხელ. ჩვენთვის ამ ორგანიზაციაში შესვლის დროიდან ეს პირველია, თუმცა საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის გამოცდილება უკვე შევიძინეთ. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ეროვნულ ასოციაციაში არიან საერთაშორისო ასპარეზობათა პრიზიორები, მსოფლიო ჩემპიონატისა და თასების მონაწილენი. მაგრამ ეს იყო ასპარეზობანი ტრადიციულ სახეობათა კარატეში. მეხიკოს ჩემპიონატი გაიმართება მხოლოდ შოტოკან კარატე-დოში.

— როგორ იქნება ორგანიზებული შეჯიბრება?

— გაიმართება ტურნირები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიათა მიხედვით. სასიხარულოა, რომ ფართოდ იქნებიან წარმოდგენილები მოზარდები და ჭაბუკები. დასახულია შეჯიბრებები ვეტერანთა შორისაც — 45 წლიდან და უფრო უხნესიც. პირველობის პროგრამაში შედის როგორც შეჯიბრება კუმიტეში — ორთაბრძოლაში, ისე კატაში — ფორმალურ ვარჯიშებში.

— მსოფლიო პირველობა მუდამ დიდ პასუხისმგებლობას უყენებს მწვრთნელს ეროვნული ნაკრების შერჩევაში. როგორია დღეს საქართველოში გუნდის ფორმირების შესაძლებლობანი?

— ეროვნულ ასოციაციაში შემავალი შოტოკან კარატე-დოს კლუბები წარმატებით ფუნქციონირებენ ახლა არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის ბევრ სხვა ქალაქშიც — ჭიათურაში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, კარდანახში. სულ მათში გაერთიანებულია ათასზე მეტი კაცი. სხვადასხვა ასაკის ადამიანებს იზიდავს ეს სპორტული კლუბები არა მარტო მისწრაფებით იყვნენ ჯანმრთელები და ძლიერნი, არამედ სურვილითაც, ფიზიკური განვითარების მეშვეობით მიაღწიონ სულიერ სრულყოფას, რაც დღეს ესოდენ მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისათვის. ასე რომ, არჩევანის შესაძლებლობა გვაქვს.

— მაინც, როგორია მსოფლიო პირველობაში ჩვენი გუნდის მონაწილეობის რეალური პერსპექტივა, საზღვარგარეთ გამგზავრება ხომ საკმაო ხარჯებთან არის დაკავშირებული?

— ეს დღეს ჩვენთვის ყველაზე ძნელი საკითხია. პირველობის პირობებით თითოეულმა სპორტსმენმა უნდა შეიტანოს 30 ამერიკული დოლარი ტურნირში მონაწილეობისათვის. ამას ემატება აგრეთვე ოთხი დღის მანძილზე კვების და საერთაშორისო კლასის სასტუმროში ცხოვრების ხარჯები ვალუტით. გასაგებია, რომ უსპონსოროდ ჩვენი მონაწილეობა ამ ტურნირში შეუძლებელი იქნება. ამიტომ გთხოვთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ეროვნული სპორტის ინტერესი, საერთაშორისო ასპარეზზე მისი ავტორიტეტის ამაღლება, დაგვეხმაროს. ყველა დაინტერესებულ პირს ვიწვევთ 24 მარტს თბილისის უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, სადაც სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელთა მონაწილეობით განიხილება მომავალი პირველობისათვის მზადების საკითხები.

პაატა არჩვაძე.

სპორტული ტელეტაიპი

გუშინ თბილისში, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, თბილისის „იბერიამ“ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში უმასპინძლა ლანჩხუთის „გურიას“. მატჩი დასრულდა ფრედ — 0:0.

●

საქართველოს მოფარიკავეებმა მოიპოვეს წარმატება პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებების სმოლენსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში. არჩილ ლორთქიფანიძემ და ვაჟა ვაშაძემ, რომლებიც გამოდიოდნენ „შევარდენის“ გუნდის შემადგენლობაში, მოხმალავეთა გუნდურ შეჯიბრში ოქროს მედლები მოიპოვეს. ფინალში მათ დაამარცხეს რუსეთის სფსრ წარმომადგენლები — 9:5.

●

თბილისელმა გივი სისაურმა, რომელიც გამოდიოდა 75 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, და გორელმა ზაზა ზოზიროვმა (68 კილოგრამამდე) გაიმარჯვეს კრასნოდარში ქვეყნის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდულ პირველობაში.

ვერცხლის მედლები მოიპოვეს თბილისელმა კახა ჯაბიძემ (82 კილოგრამამდე) და სოხუმელმა გელა უბილავამ (100 კილოგრამამდე). ასპარეზობის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ქუთაისელი ავთანდილ მგელაძე (90 კილოგრამამდე).

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენლებმა (უფროსი მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ბენდიანიშვილი) მეორე ადგილი დაიკავეს. ასპარეზობის ჩემპიონები გახდნენ რუსეთის სფსრ ნაკრების გუნდის წევრები, მესამე ადგილზე გავიდნენ უკრაინელი მოჭიდავეები.

ტკივილი

სიმღერა ერის უკვდავი სულია



როგორც კი ქართულ სასიმღერო ფოლკლორზე ჩამოვარდება სიტყვა, ყოველ ჩვენგანს სამართლიანი სიამაყის გრძნობა გვეუფლება, რადგან ვიცით, რომ ქართული ხალხური მრავალხმიანობა, რომლის ტრადიციებს ღრმად აქვს გადგმული ფესვები ერის სულიერ ცხოვრებაში, მსოფლიო მუსიკალური ფოლკლორის ერთი ყველაზე აღიარებული ფენომენია. დიახ, გვეამაყება, მაგრამ შორიდან შემყურე კაცს, ერთი შეხედვით შეიძლება ეგონოს, რომ ამ სფეროში ყველაფერი რიგზე გვაქვს, არადა, იგი კარგა ხანია შველას ითხოვს, ის ადამიანები კი, რომლებიც დიდი რუდუნებით ევლებიან თავს ამ განძს, მარტო ენთუზიაზმით შორს ვერ მიდიან...

რა ვიღონოთ? რა არის ყველაზე უფრო საშური? ამ თემაზე სასაუბროდ ვეწვიეთ ბატონ ოთარ ჩიჯავაძეს — კაცს, რომელიც ქართული ხალხური სიმღერის დაუღალავი მკვლევარი და უანგარო მოჭირნახულეა. იგი უკვე 45 წელია თბილისის კონსერვატორიაშია და ორ ათეულ წელზე მეტია, რაც თბილისის უნივერსიტეტში ფოლკლორს ასწავლის სტუდენტებს. ამ ხნის მანძილზე 51 ექსპედიცია აქვს მოწყობილი, ხაბიჯ-ნაბიჯ, უხმაუროდ უვლია საქართველოს კუთხე-კუნჭულში, სამი ათასამდე სიმღერა ჩაუწერია, მათგან ხუთი ათასამდე გაუშიფრია, ხუთი მონოგრაფიის, ქართული ხალხური სიმღერებისა თუ საგალობლების ოთხი გამოცემული და იმ რვა დაუსტამბავი კრებულის ავტორია, რომლებიც წლობით აწყვია სხვადასხვა გამომცემლობაში და თავის ჯერს ელოდება.

— ბატონო ოთარ, თქვენ როგორც ქართული ხალხური სიმღერის მკვლევარს, ყველაზე მეტად რაზე გტკივათ გული?

— მოდით, ჯერ გეტყვით რა მახარებს. ის, რომ ქართული ხალხური სიმღერა გასცდა საქართველოს საზღვრებს, აკადემიურმა ანსამბლებმა შორს გაიტანეს ჩვენი მემკვიდრეობა. ამის ფონზე, მით უფრო გულდასაწყვეტია ჩვენში ხალხური შემოქმედების გაჭირვებული მდგომარეობა. დავიწყოთ იმით, რომ ბევრი უსახელო მომღერალი და მცოდნე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ თან წაიღო ჩვენი საუნჯის უნიკალური ნიმუშები. ვერ მივუსწარით, ნოტებზე ვერ გადავიტანეთ მათ მიერ შემონახული ხალხური სიმღერა, არადა, რამდენ წარღვნას გადაურჩნენ ისინი! დიახ, გული მწყდება, რომ ძალიან დავაგვიანეთ. სიმღერების კარგი მცოდნენი კი, სულ უფრო გვაკლდება. წლებს თავისი მიაქვს, კიდევ უფრო გამიჭირდა სიხარული, ის ექსპედიციები კი, რომლებსაც კონსერვატორია და მუსიკოსთა საზოგადოება აწყობენ, ძალიან ცოტაა. თუ ახალგაზრდები უფრო მეტად არ დაინტერესდებიან ამ საქმით, უფრო მეტად ვინანებთ, თუმცა ისიც საკითხავია, არის კი ამისათვის ხელსაყრელი პირობები? ნამდვილად არა. აბა ვინღა მუშაობს დღეს იმ მოძველებული აპარატურით, ჩვენ რომ გვაქვს, ანდა შეიძლება დღესაც ანაზღაურებს იგივე თანხები გვქონდეს, რაც ამ ოცი წლის წინათ?

— უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ახალგაზრდების აღზრდაში მუსიკალურ ფოლკლორს დიდი მნიშვნელობა აქვს. არაერთხელ გამოითქვა აზრი, რომ იგი „დედაენასთან“ ერთად ისწავლებოდეს სკოლაში, რათა ყმაწვილები სიყრმიდანვე დაეუფლონ იმ ღრმა ქართულ ძირებს, ხალხურმა სიმღერამ რომ შემოგვინახა... განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ამ პრობლემაზე ცნობილმა მუსიკათმცოდნემ მანანა ახმეტელმა ბოლოდროინდელ წერილებში.

— რა ხანია ამაზე ვლაპარაკობთ, საქმეს კი მაინც ვერ მოვაბით თავი, ბევრგან ხომ ეგრეთ წოდებული სიმღერის გაკვეთილები უმიზნოდ ტარდება. ხალხური სიმღერისა თუ საგალობლების სწავლა ბავშვებს დაუხვეწავს და ჩამოუყალიბებს გემოვნებას, განუვითარებს ჰარმონიის შეგრძნებას.

— ვინ უნდა ასწავლოს?

— ფოლკლორისტებმა, კონსერვატორიის კურსდამთავრებულებმა, მაგრამ ისინი ცოტანი არიან. სწავლების პროცესებისადმი დამოკიდებულება თუ არ შევცვალეთ, არაფერი გამოვა. საქმე ის არის, რომ მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტის მხოლოდ მესამე კურსიდან იწყება სპეციალიზაცია ფოლკლორისტიკაში, ეს დრო კი ძალზე მცირეა. უთუოდ თავიდანვე, კონსერვატორიაში მიღებისთანავე უნდა განისაზღვროს ფოლკლორისტის სპეციალობა, გარდა ამისა, საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტებს, ზოგადი ფოლკლორი ეკითხებათ. განა შეიძლება ისინი საფუძვლიანად არ იცნობდნენ საკუთარ ფოლკლორს. ჰოდა, მერე სხვას რაღა უნდა ასწავლონ, თუ თვითონ არ ეცოდინებათ. ეს კი არა, სახელმწიფო გამოცდებს კლასიკურის გარდა ხალხურ სიმღერაშიც უნდა აბარებდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლებათ მათ თვითმოქმედ კოლექტივებში მუშაობა.

— დღესდღეობით, კიდევ რა მიგაჩნიათ საშურ საქმედ?

— სახელმძღვანელოების გამოცემა. ლიტერატურა ძალზე ნაკლებია. სახელმძღვანელოები და კრებულები კი წლობით აწყვია გამომცემლობებში და ალბათ, ვერც წავა ეს საქმე წინ, რადგან ნოტები ხელით იწერება, ესე იგი გრავიურა კეთდება, გრავიურისტები კი ცოტა გვყავს.

ხომ ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ილია ჭავჭავაძემ ალექსანდრე ხახანაშვილის დახმარებით შეიძინა მუსიკალური სტამბა, უფრო სწორად შეძენით მაქსიმე შარაძემ შეიძინა და ამწყობადაც ჰყავდა იგი ექვთიმე კერესელიძესთან ერთად. სწორედ მაშინ დაიბეჭდა ვასილ კარბელაშვილის საგალობელთა კრებულები „მწუხრი“ და „ცისკარი“, იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ჩაწერილი ქართული გალობა „იოანე ოქროპირის წირვის წესი“, (ქართლ-კახური კილო), ფილიმონ ქორიძის საეკლესიო საგალობლების ხუთი კრებული. ეს სტამბა, ჩვენი საუკუნის პირველ წლებშიც არსებობდა, მერე კი აღარ ჩანს. ლამის ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ და ერთი სტამბის შეძენა ვერ მოვახერხეთ.

ერთი კურიოზიც მინდა გიამბოთ.

ამ ორიოდე წლის წინათ, ერთ-ერთ გამომცემლობას მივაკითხე, სადაც დიდიხანია ჩაბარებული მაქვს დასავლეთ საქართველოს შრომის სიმღერები — 40-მდე ნადური. განყოფილების გამგემ მიამბო: მოსკოველ „სპეციალისტს“ უკითხავს, კი მაგრამ, მარტო დასავლეთ საქართველოზე რატომ არის ლაპარაკი, აღმოსავლეთმა რა დააშავაო... წარმოგიდგენიათ, თურმე ნადურები აღმოსავლეთშიც უნდა ემღერათ?! აი ასეთმა მცოდნეებმაც შეაფერხეს საქმის წინსვლა.

კიდევ ერთ საშურ საქმედ მიმაჩნია ფოლკლორის მეცნიერული კვლევის ცენტრის არსებობა მეცნიერებათა აკადემიაში, ისე, როგორც ეს აქვს სომხეთის რესპუბლიკას. მართალია, მეცნიერული კვლევა კონსერვატორიაშიც მიმდინარეობს, მაგრამ აქ მაინც სწავლება, პედაგოგიკაა მთავარი, მეცნიერული კვლევა კი მეცნიერებათა აკადემიამ უნდა წარმართოს.

— როგორ გგონიათ, ქართული ხალხური სიმღერის სიწმინდეს როგორ შევინარჩუნებთ, რა არის ამის თავდები?

— ყოფაში უნდა დამკვიდრდეს, ოჯახებში უნდა იმღერებოდეს, როგორც ადრე იყო, წინათ ხომ ყველა ოჯახში მღეროდნენ. დღევანდელი აკადემიური კოლექტივები კეთილსინდისიერი შემსრულებლები არიან, იცავენ სიწმინდეს, მაგრამ მე მომხრე არავარ დიდი გუნდებისა, რადგან ხალხური სიმღერა კოლორიტს კარგავს. არც საკრავის ხელოვნურად მიტმასნებაა სწორი. ბევრი ჩვენებური სიმღერა საკრავს ვერ იგუებს, ასე მოსულა ჩვენამდე და ასევე უნდა შევინარჩუნოთ.

დღეს უცხოური საესტრადო მუსიკის ინტენსიური შემოტევაა. მე მგონია, რომ ტელევიზია მეტისმეტ დროს უთმობს მას. ალბათ, სხვანაირი დოზირებაა საჭირო, რადგან მიმაჩნია, რომ რაც ეროვნულს უპირისპირდება, უკვე მტერია ეროვნული კულტურისა.

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. რამდენიმე წლის წინათ სოფელ გამარჯვებაში, ქორწილში მოვხვდი. მაყრიონმა მოპატიჟებულ ორკესტრანტებს მისწრო, მასპინძელი კარს არ აღებდა, სირცხვილია, უმუსიკოდ როგორ შემოვიყვანო სახლში პატარძალიო. ჩემს მეგობარ ბიჭებს შევუძახე — აბა ბიჭებო, მაყრული შემოსძახეთ-მეთქი. მერე ის იყო, რომ ორკესტრანტებს ნირი წაუხდათ, მთელ საღამოს ქართული ხალხური სიმღერები გუგუნებდა და ქორწილიც ქართული გამოვიდა. მახსოვს, რა ბედნიერი იყო იმ ქორწილისავე სტუმარი, ჩვენი საყვარელი კომპოზიტორი რეზო ლაღიძე.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, თუმცა აქამდე არ უთქვამთ? უმადურობა იქნება იმის დაჩემება, რომ დღემდე არაფერი გაკეთებულა, ბევრი რამ წამოვიწყეთ ბოლო ხანს, ბევრ სასიკეთო საქმეს დაედო საფუძველი, მაგრამ საკეთებელი უამრავია.

დიახ, ახალი დრო დაგვიდგა. დიდი საყოველთაო გამოღვიძება იწყება და ვინძლო, ამან ქართულ სასიმღერო ფოლკლორსაც დააჩნიოს კვალი, ოღონდაც ამ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ნუ წამოგვცდება ყველაზე უფრო სახიფათო ფრაზა — „რა დროს ეგ არისო“, არ დაგვავიწყდეს, რომ სიმღერა ერის ნედლი სულია!

რუსუდან მუხიგულაშვილი

შიდა ქართლი

21 მარტის ღამემ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ ქალაქ ცხინვალიდან გაისმა რამდენიმე გასროლის ხმა. 21-ში დილითაც რეგიონში სიწყნარე იყო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

რას ამბობენ...

ნაწყვეტი ფიქრია იაკობაშვილის წერილიდან „ნდობის დეფიციტი“ (გაზ. „მხედრიონი“, 1991 წლის მარტი).

გაზ. "საქართველოს რესპუბლიკის" 1991 წლის 28 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ირინე ტალიაშვილის საკმაოდ ვრცელი სტატია "ზოგჯერ ბრძენიც შეცდება". ჯერ გაზეთის რედაქტორით მინდა დავიწყო. ამ ორი წლის მანძილზე, მამუკა ფაჩუაშვილი რომელ პარტიასა თუ ლიდერს, საზოგადოებასა თუ რედაქციას არ მიეტმასნა, რეპრესირებული, წესიერი კაცის იარლიყით. ბოლოს კი, სადაც ყველაზე რბილ სავარძელსა და მეტ ძალა-უფლებას შეპირდნენ, იქ შეჩერდა. მაგრამ სანდისი? ახლა კი გაიძახის, რა ვქნა, მავალებენო. არაერთხელ მითქვამს მისთვის და ახლაც გავიმეორებ: როცა გავალებენ იმას, რაც არ გინდა აკეთო, უნდა გაეცალო დამვალებელს, დავალებული რომ არ აღმოჩნდე. თორემ სირცხვილია, როცა ქუჩაში შენს ნაცნობებსა და თანატოლებს თვალს რომ არიდებ, პატარავდები, მრგვალდები და თუ ხელით არ შეგაჯანჯღარეს შეიძლება გაქრე კიდევაც.

რედაქტორი: დავსძენ მხოლოდ, რომ არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. კომენტარის გაკეთებას კი არ ვიკადრებ. მკითხველმა თავად განსაჯოს.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24
იბეჭდება საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა